ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Alkhali Taoba

„არარატს“ სოხუმში მატჩი ჩაუშალეს

გვ.4

ოთხშაბათი, 27 იანვარი, 2016 №21 (6947) ფასი: 50 თეთრი

გიორგი ქადაგიძე: „ლარის კურსი უახლოეს მომავალში დასტაბილურდება“

„მე ანგარიშს არ ვაბარებ არც ბატონ მეჭიაურსა და არც ბატონ ტყემალაძეს, არამედ ვაბარებ ქართველ ხალხს“

— გვ. 6 —

სერგეი ლავროვი: „ისლამური სახელმწიფო პანკისის ხეობას თავშესაფრად იყენებს“

გვ.2

გია ვოლსკი რუს მინისტრს შანტაჟში ადანაშაულებს

გვ.2

შოთა მალაშხია: „კვირიკაშვილის ნაბიჯები მხოლოდ პიარია“

„ქართულ ოცნებას“ მაჟორიტარების ხარჯზე გასვლის იმედი აქვს“

გვ.3

კონსტანტინე გამსახურდია: „არასაპარლამენტო ოპოზიციის მარგინალიზაცია დასრულდა“

„კვირიკაშვილთან შეხვედრა არ იყო შეხვედრა შეხვედრისთვის“

არჩევნებში მონაწილეობა შესაძლოა სავალდებულო გახდეს

გვ.4

არასამთავრობოები პარლამენტში საკანონმდებლო წინადადებით შევიდნენ

ISSN 1987-9385

სერგეი ლავროვი: „ისლამური სახელმწიფო პანკისის ხეობას თავშესაფრად იყენებს“

შორენა მარსაგიშვილი

გია ვოლსკი რუს მინისტრს შანტაჟში ადანაშაულებს

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა საქართველოსთან ურთიერთობის სურვილი კიდევ ერთხელ გამოთქვა. ის მზადაა, მთავრობის წარმომადგენლებსაც შეხვდეს.

ეს განცხადება მან ყოველწლიურ შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე გააკეთა, ამის პარალელურად კი ერთი სკანდალური ინფორმაციაც გააჟღერა, რაც თბილისში ცუდად ენიშნათ.

ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ რუსეთი პანკისში პროვოკაციის მოწყობას შეეცდება.

– პანკისის ხეობაში ტერორისტული საფრთხე არ გამქრალა. მოსკოვს გააჩნია იმის მტკიცებულება, რომ ისლამური რადიკალური დაჯგუფება, ისლამური სახელმწიფო აქაურობას თავისი მიზნებისთვის იყენებს. კერძოდ, ამ ძნელად მისადგომ ტერიტორიას იყენებენ წვრთნებისთვის, დასვენებისა და მომარაგებისთვის, – განაცხადა ლავროვმა.

მისივე განმარტებით, სწორედ ხეობაში არსებული ვითარება იყო ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც რუსეთმა საქართველოსთან სავიზო რეჟიმი გაამკაცრა.

რუსული დიპლომატიის მამის განცხადებას თბილისში მკვეთრი რეაქცია მოჰყვა. თავისი პოზიცია საქართველოს მთავრობის მეთაურმა გიორგი კვირიკაშვილმაც დააფიქსირა.

პრემიერის განცხადებით, პანკისის ხეობიდან არანაირი ტერორისტული რისკი დღესდღეობით არ მომდინარეობს.

– საქართველოს მთავრობა ახორციელებს სრულ კონტროლს ჩვენს იმ რეგიონებზე, სადაც ჩვენ დღეს ვახორციელებთ კონტროლს. არანაირი ტერორიზმის რისკი ამ რეგიონიდან არ მოდის, იქიდან არის რამდენიმე ადამიანი წასული და იბრძვის ისლამური სახელმწიფოს რიგებში, თუმცა მათ შემოსვლაზე უმკაცრესი კონტროლია დაწესებული და აქ უკვე სისხლის სამართლის მუხლები მოქმედებს. პირდაპირ ვამბობ, რომ არანაირი ტერორისტული რისკი დღესდღეობით პანკისის ხეობიდან არ მომდინარეობს და ამ კუთხით არსებული არხებით გვექნება დიალოგი და მაქსიმალურად მივაწვდით ინფორმაციას, რომ მათ ჰქონდეთ უფრო სწორი ინფორმაცია ამ რეგიონში არსებულ სიტუაციაზე, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

გაცილებით მკვეთრი რეაქცია ჰქონდა საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ ლიდერ გია ვოლსკის.

მისი თქმით, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება სხვა არაფერია, თუ არა შანტაჟის ფორმა. ეს განცხადება ბოლო პერიოდის განმავლობაში ქართულ-რუსულ ურთიერთობებში გამოკვეთილ პოზიტივს ჩრდილს აყენებს.

როგორც ვოლსკიმ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, პანკისის ხეობაში საქმე სხვანაირად რომ იყოს, სერგეი ლავროვს განცხადების გაკეთებას ბევრი სხვა სახელმწიფოს წარმომადგენელი დაასწრებდა.

დეპუტატი ირწმუნება, რომ პანკისის ხეობაში სიტუაცია სამართალდამცავთა სრულ კონტროლს ექვემდებარება.

– პანკისის ხეობაში ყველაფერი წესრიგში რომ არ იყო და რამდენიმე ადამიანი წასულია ისლამისტური შეიარაღებული ფორმირებების რიგებში საბრძოლველად, ეს ფაქტია, თუმცა აბსოლუტურად არასწორი ინფორმაციაა და სერიოზული ბრალდებაა ის, რომ პანკისის ხეობაში მზადებაა და რაღაც პროცესები მიდის, რასაც თითქოსდა საქართველოს ხელისუფლება ვერ აკონტროლებს. პანკისის ხეობაზე სრული კონტროლია – ამაში მინდა დავარწმუნო ჩვენი მოსახლეობაც და საერთაშორისო საზოგადოებაც.

ამის შესახებ კარგად იციან საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა. სხვანაირად რომ იყოს, დამერწმუნეთ, სერგეი ლავროვს განცხადების გაკეთებას ბევრი სხვა სახელმწიფოს წარმომადგენელი დაასწრებდა, რომლებიც საქართველოში არიან და დეტალურად იციან, თუ რას აკეთებენ და როგორ მუშაობენ სახელმწიფო სტრუქტურები უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მათ შორის პანკისის ხეობაში, – განაცხადა ვოლსკიმ.

მან ხაზგასმით აღნიშნა ის ფაქტიც, რომ ქართველი სამხედროები ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში მოკავშირეთა რიგებში დგანან.

* * *

ტერორიზმში დადანაშაულების გარდა, სერგეი ლავროვმა დადებით კონტექსტშიც მოგვიხსენია და სავიზო რეჟიმის გაუქმებაზეც თქვა რამდენიმე სიტყვა. ამასთან, ის მზად არის, შეხვდეს თავის ქართველ კოლეგას.

– მზად ვარ ჩემს ქართველ კოლეგასთან კონტაქტისთვის. დარწმუნებული ვარ, რომ შესაძლებელია სხვა კონტაქტებიც. პრეზიდენტმა პუტინმა, როცა ამაზე ჰკითხეს, ასეთი შესაძლებლობა არ გამორიცხა, – აცხადებს ლავროვი.

გია ვოლსკი არ გამორიცხავს, რომ ლავროვმა ეს ტერორისტების შეფარების შესახებ განცხადება ამ შეხვედრის წინაპირობად დააყენა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ვოლსკიმ განუცხადა, შეხვედრის რეალური წინაპირობები ჯერ არ არსებობს, ხოლო შეხვედრა შეხვედრისთვის არ უნდა გაიმართოს.

– მისი განცხადება პანკისის ხეობის თაობაზე ხომ არ არის წინაპირობა იმისა, რომ შეხვედრის აუცილებლობა დაასაბუთოს და ამისკენ ხომ არ მიანიშნებს?! შეხვედრა შეხვედრისათვის არ უნდა ჩატარდეს. თუ რაიმე საფუძველი და წინაპირობა ექნება პოზიტიურ განვითარებას, რასაკვირველია, იმ წითელი ხაზების დაცვით, რომელიც ჩვენ რუსეთთან ურთიერთობებში გაგვაჩნია, ეს სხვა თემაა. ამის რეალური წინაპირობები ჯერჯერობით არ არსებობს, – აცხადებს „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში ვოლსკი.

რაც შეეხება ლავროვს, ის ამტკიცებს, რომ რუსეთი საქართველოსთან ნორმალური და კეთილმეზობლური ურთიერთობის მომხრეა. ურთიერთობების გაფუჭებას კი მიხეილ სააკაშვილს აბრალებს.

– ქართველი ხალხი ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დანაშაულებრივი შეცდომებისთვის არ უნდა იხდიდეს საფასურს რუს მეზობლებთან ურთიერთობაში, – ამბობს რუსთა პირველი დიპლომატი.

მან აგვისტოს ომიც გაიხსენა და ამ ამბავშიც სააკაშვილი დაადანაშაულა, რუსეთის ხელისუფლების მაშინდელი ქმედებები კი მეტად საინტერესოდ ახსნა.

– აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის „აღიარების“ გარდა, რუსეთს „სხვა გამოსავალი“ არ ჰქონდა. ეს იყო მიხეილ სააკაშვილის კრიმინალური პოლიტიკის შედეგი. ის პროვოკაციებითაა ცნობილი, რომლის ნაწილი – მისი ინიციატივით, ნაწილი კი შეკვეთით ხდება, – აცხადებს რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელი.

სერგეი ლავროვს პანკისის გარდა სხვა თემებზეც შემოეკრიტიკა საქართველო. ის უკმაყოფილოა იმის გამო, რომ თბილისს გაეროში ყოველწლიურად ლტოლვილების შესახებ ცალმხრივი რეზოლუცია შეაქვს.

მისი თქმით, მოსკოვი მზად არის, ამ რეზოლუციაზე გაეროში იმსჯელოს, თუმცა – აფხაზეთისა და ოსების მონაწილეობით.

საქართველოზე საუბრისას რუს დიპლომატს ამერიკაც შემოელანძღა და იქაური პოლიტიკოსები ორმაგ სტანდარტებში დაადანაშაულა.

ლავროვი უკმაყოფილოა იმის გამო, რომ აფხაზებსა და ოსებს ამერიკა ვიზებს არ აძლევს.

– ამ დროს საქართველოს მოქალაქეებს ვიზების მიღების საკითხში პრობლემებს არავინ უქმნის, – ამბობს რუსი მინისტრი.

ამასთან, ის კმაყოფილია, რომ საქართველოსთან ურთიერთობის დარეგულირება დაიწყო.

– ახლა ურთიერთობა გაყინვის სტადიიდან გამოდის. დამყარდა კონტაქტები ქართულ-რუსულ უწყებებს შორის რიგ სფეროში, მათ შორის ფიტოსანიტარიულ და სავაჭრო სფეროებში, – აღნიშნა ლავროვმა.

თბილისში შეფასებების გაკეთება არც ამ საკითხზე დააყოვნეს. საქართველოს ხელისუფლება კმაყოფილია, ოპოზიცია კი მიიჩნევს, რომ მოსკოვთან საქმის დაჭერა სარისკოა.

– რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენას მნიშვნელოვანი წინაპირობები აქვს, ეს არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და კიდევ უფრო მნიშვნელოვანი, სუვერენიტეტის ანუ ყველა სუვერენული გადაწყვეტილების პატივისცემა, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება საქართველოს ხალხთან ერთად იღებს. რაც შეეხება იმას, თუ რა განცხადებები გაკეთდა, ამის გარდა, მინდა პოზიტივზეც ვისაუბრო, რომ ვიზების შემსუბუქება უკანასკნელ პერიოდში ძალიან პოზიტიური გადაწყვეტილება იყო, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ბაჩუკი ქარდავა აცხადებს, რომ იმ ფონზე,

გაგრძელება მე-5 გვერდზე

ირაკლი სესიაშვილი: „ლავროვის განცხადება გაუგებარია“

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილისთვის პანკისის ხეობასთან დაკავშირებით რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის განცხადება გაუგებარია.

როგორც სესიაშვილმა შესაბამის საკითხზე კომენტარებისას „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, პანკისის ხეობაში „აბსოლუტური სიმშვიდეა“.

ირაკლი სესიაშვილი:

– სიმართლე გითხრათ, ჩემთვის გაუგებარია ლავროვის განცხადება. პანკისში აბსოლუტური სიმშვიდეა და ეს თითოეულ თქვენგანს შეუძლია გადაამოწმოს. სიტუაცია სრულიად კონტროლდება და ძალიან ეფექტურად მუშაობს ჩვენი სახელმწიფოს უსაფრთხოების სამსახური, ისევე როგორც სხვა უწყებები.

მეტიც, მე ვიტყოდი, რომ ყველა ღონისძიება გატარდა, მათ შორის პრევენციული, რომ პანკისში მცირედი გართულებაც კი არ იყოს. გარდა ამისა, თქვენ იცით, რომ ჩვენი რამდენიმე მოქალაქე წასულია სირიაში.

ზოგიერთი მათგანი რამდენიმე წლის წინ წავიდა, ზოგიერთი 2012 წლამდეც. ჩვენ შევიმუშავეთ საკანონმდებლო ცვლილებები, რომლითაც, თუკი ისინი დაბრუნდებიან, სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი. სწორედ ამ ვითარებიდან გამომდინარე, ჩემთვის გაუგებარია, რაში სჭირდებოდა ლავროვს ასეთი განცხადების გაკეთება.

დეპუტატი მიიჩნევს, რომ სერგეი ლავროვის არგუმენტები არალოგიკური იყო.

– მის მიერ მოყვანილი არგუმენტები არათანხვედრადია. ერთი მხრივ, მან თქვა – სავიზო რეჟიმი იმიტომ გავართულეთ, რომ გარკვეული რისკები იყოო, თუმცა ბოლო პერიოდში რუსეთი საუბრობს სავიზო რეჟიმის გამარტივებაზე. ასე, რომ ეს ყველაფერი არალოგიკური და არათანხვედრია ერთმანეთთან, ამიტომ, მე ვფიქრობ, მისი ეს განცხადება მოკლებული იყო რეალობას, – აღნიშნა ირაკლი სესიაშვილმა. კითხვაზე, რა შემდგომ ნაბიჯებს შეიძლება ველოდოთ ამ განცხადების შემდეგ რუსეთის მხრიდან, სესიაშვილმა განაცხადა, რომ „ეს განცხადება განცხადებად დარჩება“.

ირაკლი სესიაშვილი:

– მე ვერ ვხედავ საფუძველს, რომ რაიმე ტიპის სერიოზულ საფრთხეებს ველოდოთ. ვფიქრობ, ეს განცხადება განცხადებად დარჩება. არანაირი საფუძველი არ არსებობს, რომ დადასტურდეს ის სიტუაცია, რაზეც ის საუბრობს.

ჩვენი მმართველობის პირობებში ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რათა საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით მივუდგეთ მეზობელ ქვეყნებს.

ინტერპრესნიუსი

გიორგი მარგველაშვილი: „მივესალმები იმ პროცესს, რომელიც დაიწყო პრემიერ-მინისტრთან“

მე მივესალმები იმ პროცესს, რომელიც დაიწყო საქართველოს პრემიერ-მინისტრთან, – ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა საარჩევნო საკითხებზე მომუშავე, არასაპარლამენტო ოპოზიციის ინტერპარტიული ჯგუფის წევრებთან შეხვედრის დასრულების შემდეგ განუცხადა.

ქვეყნის პირველი პირის განმარტებით, მეტი გახსნილობა საქართველოში ევროპული კულტურის დაფუძნების წინაპირობაა.

გიორგი მარგველაშვილი:

– შარშან ჩვენ ძალიან აქტიურად ჩავერთეთ იმაში, რომ შეგვექმნა ფორუმი, რათა მომხდარიყო კონსენსუსი ყველა პოლიტიკურ ძალასთან ძირითადი თამაშის წესებთან დაკავშირებით.

მე მივესალმები იმ პროცესს, რომელიც დაიწყო საქართველოს პრემიერ-მინისტრთან, იმიტომ, რომ მეტი გახსნილობა, როგორც პოლიტიკური ოპონენტების, ასევე სამოქალაქო სტრუქტურების ჩართვის თვალსაზრისით, არის წინაპირობა ევროპული პოლიტიკური კულტურის დაფუძნების საქართველოში.

ასეთი დისკუსიები რა შედეგისკენაც არ უნდა იყოს ორიენტირებული, მიგვიყვანს მეტ თანხმობამდე, რაც ნიშნავს, ქართული პოლიტიკური კულტურის უფრო მაღალ ევროპულ სტანდარტებზე აწევას.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

შოთა მალაშხია: „კვირიკაშვილის ნაბიჯები მხოლოდ პიარია“

„ქართულ ოცნებას“ მაჟორიტარების ხარჯზე გასვლის იმედი აქვს“

მარიამ მჭედლიშვილი

პარლამენტის უმცირესობის ნევრი, ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ლიდერი შოთა მალაშხია მიიჩნევს, რომ ახალი პრემიერ-მინისტრის განცხადებები პოლიტიკაში პოლარიზაციის დამთავრების შესახებ, ასევე მისი შეხვედრები საარჩევნო საკითხებზე ჩვეულებრივ არაფერს შეცვლის.

– პოლარიზაცია არ დამთავრებულა. როგორ დამთავრდებოდა, როცა ამ ხელისუფლებას ჰყავს პოლიტიკური პატიმრები! ამაზე ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ხელმძღვანელმაც ისაუბრა. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა გიგი უგულავაზე. გიორგი კვირიკაშვილი, ისევე, როგორც ყველა ამ მთავრობაში, არ არის დამოუკიდებელი ფიგურა. ის ვერ იღებს გადაწყვეტილებებს. ამიტომ მისი ერთი შეხედვით კარგი ნაბიჯები პიარია და მეტი არაფერი.

– მცირე ბიზნესთან, გადასახადებთან დაკავშირებული ინიციატივებიც პიარია?

– რა თქმა უნდა. ყველა გრძნობს, რომ ქვეყანაში უკეთესობისკენ არაფერი იცვლება – ეკონომიკა დაინგრა, ლარის კურსი კატასტროფულად ეცემა. ჩვენ ვნახეთ, რა რეაქცია ჰქონდათ „ქართული ოცნების“ ლიდერებს ევროსაბჭოს მაღალი რანგის წარმომადგენლების კრიტიკაზე. ზოგმა არაკომპეტენტურობა ახსენა, ზოგმა – პარტიული კუთვნილება. როცა ასეთი სიტუაციაა, რა მნიშვნელობა აქვს, რას იტყვის პრემიერი? მისი ყველა სიტყვა და ნაბიჯი „ქართული ოცნების“ საწინააღმდეგო გამოდის. ყველა განცხადება დაპირებად რჩება. მოსახლეობამ საკუთარ ტყავზე იცის, როგორ სრულდება „ოცნების“ დაპირებები.

„თუ საარჩევნო ცვლილებები უნდათ, გარდაბანში სპეცუბანი რატომ შექმნეს?“

– საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაც არ არის მოსალოდნელი?

– თუ საარჩევნო ცვლილებები მართლა უნდათ, მაშინ გარდაბანში სპეცუბანი რატომ შექმნეს? გარდაბნის გამგებელი სხვაგან რეგისტრირებულ სამხედრო მოსამსახურეებს უნდა აარჩევინონ? ამის გაკეთებას რა უნდოდა! ახლავე უარი ეთქვათ სპეცუბანზე. ახლა გარდაბნის ოლქს დამატებით 700 ამომრჩეველი ხელოვნურად დაემატა. ამ სიტუაციაში კვირიკაშვილი ლიდერი და გადაწყვეტილებების მიმღები დაკავებულია იმით, თუ როგორ გადარგოს აჭარაში აღმოჩენილი მისთვის საინტერესო ხეები საკუთარი სახლის ეზოში. ამას, თურმე, სჭირდება გზის დაგება, 400 ტონა მიწის ამოთხრა და ა.შ. ესაა მათი მთავარი საფიქრალი იმ დროს, როცა ხალხი შიმშილით იხოცება, პენსიონერებს კი იანვრიდან 10 ლარითაც ვერ მოუმატეს პენსია.

იგივე ხდება თბილისში. გაუთვლელად და ნორმების დაუცველად შენდება პანორამა თბილისი. გაურკვევლობაში მიდის 100 მილიონი ლარი დედაქალაქის ბიუჯეტიდან. მთელი ქვეყანა გადაქცეულია ერთი კაცის მომსახურების ბიუროდ. ყველაფერი მისი ახირებების მიხედვით კეთდება. ბევრ სტრუქტურაში დაინიშნნენ „ქართუს“ წარმომადგენლები და რეალური მმართველის ნათესავები. ასე მოხდა რკინიგზაში, რის შემდეგაც შემცირდა ტვირთბრუნვა. ხალხი ამდენს ვეღარ ვერ იქნება რევოლუციონერი.

– „ქართულ ოცნებას“ ხომ უნდა უნდოდეს საზოგადოების ნდობის დაბრუნება?

– „ქართული ოცნება“ საქმით არ არის დაკავებული. მისი ერთადერთი მოითმენს და არჩევნებზე ამ მმართველებს განაჩენს გამოუტანს.

– მმართველი კოალიციის წარმომადგენელი ლევან ბერძენიშვილი აცხადებს, რომ 73-ვე მაჟორიტარულ ოლქს მოიგებენ.

– ამ გამაღიზიანებელი განცხადებით „ქართული ოცნება“ კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ რუსეთს ემსახურება. ამით უნდათ, სახელი შეულახონ საქართველოს, როგორც სახელმწიფოს. სახელმწიფო სტრუქტურებს უკვე გამოუთხარეს ძირი, მოშალეს პროკურატურის, პოლიციის მუშაობა. ძალიან გაუარესდა კრიმინოგენური სიტუაცია. აღარაფერს ვამბობ სოციალურ ყოფაზე. გაზპრომთან წამოიწყეს საეჭვო ურთიერთობა. რუსეთის ინტერესების გატარების გარდა, შესაძლოა, აქ იკვეთებოდეს ივანიშვილისა და კალაძის პირადი დაინტერესება. კალაძის ურთიერთგამომრიცხავმა განცხადებებმა მისი თანაპარტიელებიც დააბნია. „ოცნება“, მართლაც, მაჟორიტარების იმედადაა. სხვანაირად ეს კოალიცია არჩევნებს ვერ მოიგებს.

– არსებობს პროგნოზი, რომ მომავალი პარლამენტი მრავალპარტიული იქნება.

– მაჟორიტარების ნაწილს ეს არ შეეხება. მათ გაყვანას „ოცნება“ ეცდება. რაც შეეხება პროპორციულ ნაწილს, ბლოკ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გარდა, შეიძლება პარლამენტში 5%-იანი ზღურბლი გადალახოს ერთმა ან ორმა ძალამ. შესაბამისად, მათ ეყოლებათ ხუთ-ხუთი დეპუტატი. მთლიანობაში, ეს ათი კაცი ამინდს ვერ შექმნის.

– თქვენ დავით ნარმანიას გადადგომას ვარაუდობდით.

– ნარმანია ჯერჯერობით მერობას ინაჩუნებს. მიუხედავად იმისა, რომ მის წინააღმდეგ თითქმის ყველა გამოვიდა. ესეც ერთი კაცის გადასაწყვეტია. მან ანგარიში არ გაუწია საზოგადოებრივ აზრს. შეიძლება ხვალ ადგეს და უცებ გადააყენოს ნარმანია.

ნათია ხურცილავა

კონსტანტინე გამსახურდია: „არასაპარლამენტო ოპოზიციის მარგინალიზაცია დასრულდა“

არასაპარლამენტო ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი კონსტანტინე გამსახურდია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პრემიერ კვირიკაშვილთან გამართული შეხვედრის შესახებ საუბრობს.

კონსტანტინე გამსახურდია:

– სახელისუფლებო გუნდი არასაპარლამენტო ოპოზიციის, ინტერპარტიულ ფორმატში ჩართული პოლიტიკური ძალების მარგინალიზაციის პროცესს ეწეოდა. პრემიერ-მინისტრთან და პრეზიდენტთან შეხვედრით ჩვენ, ოპოზიცია, ამ მარგინალური ზონიდან სრულიად გავედით.

მარგინალიზაცია არის პროცესი, რომელიც „ზემოდან“ არის მართული. როდესაც ოპოზიციას არ გაქვს უსასრულო ადმინისტრაციული და ძალაუფლებრივი რესურსი, როგორიც, მაგალითად, ნაციონალურ მოძრაობას ჰქონდა 2004-2012 წლებში, ან არ გაქვს ისეთი ფინანსური რესურსი, როგორიც „ქართულ ოცნებას“ ჰქონდა 1-ლი ოქტომბრის არჩევნების დროს, მაშინ განწირული ხარ მარგინალიზაციისთვის. როდესაც წასული თუ მოსული პოლიტიკური ძალები მთლიანად იყოფენ პოლიტიკურ ძალაუფლებას, მესამე პლატფორმაზე მყოფი ძალებისთვის ადგილი არ რჩება.

„კვირიკაშვილთან შეხვედრა არ იყო შეხვედრა შეხვედრისთვის“

– ექსპერტები ხშირად აქცენტს მესამე ძალაზე აკეთებენ, შეიძლება ეს არის მესამე ძალის ფორმირების პროცესი?

– მესამე პოლიტიკური ძალის ფორმირება მართლაც აუცილებელია, მაგრამ ჯერ ამის ნიშნებს ვერ ვხედავ. მე ცოტა ფრთხილი ვარ ამ განცხადების გაკეთებაში.

– თუმცა დიდი ხანია ინტერპარტიულ ფორმატში არასაპარლამენტო ოპოზიცია კონსულტაციებს მართავს. შეიძლება წინასაარჩევნოდ რაღაც ერთობის სახე მიიღოს ამ ფორმატმა?

– კონსულტაციები იმართება საარჩევნო კანონმდებლობის ირგვლივ და ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ყველას ერთი პლატფორმა გვქონდეს, ერთი იდეოლოგია და შეხედულება, ან ვთანხმდებოდეთ ყველა საკითხზე. ეს ნამდვილად არ არის ასე.

– ეს ოპოზიციაც ჭრელი და ეკლექტურია?

– რასაკვირველია, მაგრამ „ქართული ოცნებაც“ ასეთი ჭრელი და ეკლექტური გუნდი არ იყო? აქამდე ქართულ პოლიტიკაში მთავარი იყო, ვის წინააღმდეგ ვერთიანდებით, მაგრამ დღეს უკვე საკითხი ასე აღარ დგას. დღეს საკითხი ასე დგას – ვინ არის ცუდი და რა არის ცუდი კი არა, რა არის კარგი და სწორი. ამ საკითხზე გაერთიანება გაცილებით რთულია, ვიდრე რომელიმე პოლიტიკური ძალის ან ვიღაცის წინააღმდეგ გაერთიანება.

– პრეზიდენტთან შეხვედრის მიზეზი კვლავ საარჩევნო კანონმდებლობა იყო?

– დიახ. ასევე განვიხილეთ პრემიერ-მინისტრთან გამართული შეხვედრა.

– პრეზიდენტმა განაცხადა, რომ პოლიტიკური იზოლაციის პერიოდი დასრულდა და დაიწყო დიალოგის პროცესი. ასეა?

– დიახ, მე ვეთანხმები პრეზიდენტის ამ განცხადებას. პროცესი მკვდარი წერტილიდან ნამდვილად დაიძრა. მზაობა გამოთქვა, რომ რაღაც შეცვალოს, მაგრამ რას შეცვლიან, ამის თქმა რთულია. ჭკვიანი დიპლომატია. ის არაფერს ამბობს, გარდა იმისა, რომ ამ საკითხს აუცილებლად გაარკვევს ანუ დროს ითხოვს. ზუსტად ასე მოითხოვა დრო პრემიერმაც, რომ გაარკვიოს, სადამდე წამოვა. აქ იგულისხმება შიდა კონსულტაციები „ქართული ოცნების“ ძირითად გუნდთან. ამ კონსულტაციების შემდეგ გახდება ცნობილი, რაში ვთანხმდებით და რაში – ვერა. აქ საუბარია სისტემის შეცვლაზე, მაჟორიტარული სისტემის პროპორციული სისტემით შეცვლაზე.

– საპარლამენტო უმრავლესობის წევრები აცხადებენ, რომ კანონი მიღებულია და ვერაფერს მოახერხებენ, კვირიკაშვილმა კი სამუშაო ჯგუფის შექმნაზე ისაუბრა. რა ხდება?

– კანონი მიღებულია, მაგრამ მისი შეცვლა არ წარმოადგენს პრობლემას. საკონსტიტუციო ცვლილებისთვისაც არის საკმარისი დრო. ამას დასჭირდება სამი მოსმენა. მესამე მოსმენა ზაფხულში რომ იყოს, უპრობლემოდ შეიძლება ცვლილებების შეტანა. მთავარია, პოლიტიკური ნება იყოს.

– პრემიერს აქვს იმდენი ავტორიტეტი თავის გუნდში, რომ ეს ნება გაიტანოს?

– ვნახოთ, ეს სულ მალე გამოჩნდება, გამომდინარე იქიდან, თუ რა ცვლილებებს შემოგვთავაზებენ და რაზე წავლენ. გარდა ამისა, საუბარია საეთერო დროზე, ბარიერის საკითხზე, დაფინანსებაზე და ა.შ. ვნახოთ, რა დასკვნებს გააკეთებენ.

– პრემიერთან შეხვედრა იყო შეხვედრა შეხვედრისთვის თუ თქვენ გარკვეული იმპულსები იგრძენით, რომ კვირიკაშვილს რეალურად უნდა რაღაცის შეცვლა?

– მე ვიგრძენი, რომ მმართველ გუნდში არის რეალური ცვლილების სურვილი. ვისი მხრიდან, ამას ვერ გეტყვით, მაგრამ მე ვიგრძენი, რომ ასეთი სურვილი არის. ეს ნამდვილად არ იყო შეხვედრა შეხვედრისთვის, მაგრამ მე არ ვიცი, რა ზომით მოხდება დათმობები.

– ეს მოლაპარაკების ხელოვნებაზე იქნება დამოკიდებული თუ უკვე გადაწყვეტილი საკითხია?

– არ მგონია. ამ პროცესში საერთაშორისო საზოგადოებაა ჩართული, არსებობს რეკომენდაციებიც, ეს არის დროის მოთხოვნაც. ამდენად, გამოჩნდება, რამდენად უსწორებს თვალს მმართველი გუნდი დროის მოთხოვნას.

– სპეცუბნების გაუქმება წინ გადადგმული ნაბიჯია?

– სამ შემთხვევაში უნდა გაუქმდეს: მაჟორიტარის არჩევნებში, მერის არჩევნებში და გამგებლის არჩევნებში. დანარჩენ შემთხვევაში, თუ ჯარისკაცი ვერ თავისუფლდება, მას ხმის მიცემის უფლება უნდა ჰქონდეს.

ზურაბ აბაშიძე: „რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა დღის წესრიგში არ დგას“

რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში პრემიერის სპეციალური წარმომადგენლის ზურაბ აბაშიძის განცხადებით, ვიდრე რუსეთს საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებული ექნება, მოსკოვთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა არ იგეგმება.

ზურაბ აბაშიძე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებას გამოეხმაურა, რომლის თანახმადაც, მოსკოვს საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობა სურს.

– რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა დღის წესრიგში არ დგას და ჩვენმა რუსმა კოლეგებმა კარგად იციან, თუ რატომ. სანამ დარღვეულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა შეუძლებელია, – განაცხადა აბაშიძემ.

მისივე თქმით, იმ შემთხვევაში დადგება დღის წესრიგში რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა, თუ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესში სერიოზული პროგრესი იქნება.

– თუკი მოხდება სერიოზული წინსვლა ამ მიმართულებით და ჩვენ დავინახავთ, რომ არის ძალიან მნიშვნელოვანი პროგრესი, ალბათ, ეს საკითხი დღის წესრიგში დადგება, – განაცხადა ზურაბ აბაშიძემ.

აბაშიძე სერგეი ლავროვის იმ განცხადებასაც გამოეხმაურა, სადაც რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ უვიზო რეჟიმზე საუბარი დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობის პირობებში უცნაურია.

პრემიერის სპეციალური წარმომადგენლის თქმით, სავიზო რეჟიმის გაუქმებისთვის დიპლომატიური ურთიერთობა ხელისშემშლელი ფაქტორი არ არის.

– გამოცდილებამ დაადასტურა, რომ ჯერ ჩვენ მოვხსენით და საერთოდ გავაუქმეთ სავიზო რეჟიმი, შემდეგ რუსეთის მხარემ მნიშვნელოვნად გაამარტივა. ახლა საუბარი იყო სავიზო რეჟიმის საერთოდ გაუქმებაზე. ეს ჩვენ მოვისმინეთ პრეზიდენტ პუტინისგან და შემდგომ საგარეო უწყებამაც დაადასტურა, – განაცხადა ზურაბ აბაშიძემ.

ნიუსპრესი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ჟალბატონი ფიქრია

არჩევნებში მონაწილეობა შესაძლოა სავალდებულო გახდეს

არასამთავრობოები პარლამენტში საკანონმდებლო წინადადებით შევიდნენ

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოში ამომჩევლის ხოდენობა ახჩევნებიდან ახჩევნებამდე მცირდება. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევს, რომ ახჩევნებში მონანილეობას აზხი ახ აქვს და სახლში ამჯობინებს დახჩენას.

2014 წელს ჩატარებულ თვითმმართველობის არჩევნებზე ყველაზე ცოტა ამომრჩეველი მივიდა. წინასწარი ვარაუდით, წლევანდელ საპარლამენტო არჩევნებზე კიდევ უფრო ცუდ შედეგს უნდა ველოდოთ. ამომრჩევლის დიდ ნაწილს არცერთი პარტიის მიმართ სიმპათია არ აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ ბევრი მათგანი საარჩევნო უბანზე არ წავა.

არაერთხელ გაიჟღერა მოსაზრებამ იმის შესახებ, რომ არჩევნებში მონაწილეობა სავალდებულო უნდა გახდეს. ამ მოსაზრებას პოლიტიკური პარტიების დიდი ნაწილი ეთანხმება. არჩევნების სავალდებულოობას მხარს უჭერს არასამთავრობოების ნაწილიც.

ამ მხრივ ყველაზე მოწადინებული უფლებადამცველთა გაერთიანებაა. ამასთან დაკავშირებით 26 იანვარს მათ პარლამენტს საკანონმდებლო წინადადებით მიმართეს. უფლებადამცველები იმედოვნებენ, რომ დავით უსუფაშვილის სახელზე გაგზავნილი წინადადება რეაგირების გარეშე არ დარჩება.

თუ მათი წინადადება პარლამენტისთვის მისაღები იქნება, საარჩევნო კანონის გარდა, ცვლილებები კონსტიტუციაშიც უნდა შევიდეს.

– საქართველოში არჩევნებში აქტივობის მაჩვენებელი დაბალია და, ამასთან, სულ უფრო მცირდება გასულ წლებთან შედარებით. ცესკოს მონაცემებით, 2004 წლის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 64%-მა, 2006 წელს – 48%-მა, 2008 წლის არჩევნებში აქტივობა 53% შეადგენდა, 2010 წელს – 49%, 2012 წლის არჩევნები, წინა პერიოდთან შედარებით, მაღალი აქტივობით გამოირჩეოდა, თუმცა ბოლო პერიოდში ჩატარებულ თვითმმართველობის არჩევნებში (2014 წლის 15 ივნისი) საკმაოდ დაბალი აქტივობა დაფიქსირდა, რაც დიდი პრობლემაა ქვეყნისთვის.

ამიტომ უფლებადამცველთა გაერთიანება აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრის მიზნით გამოდის ინიციატივით, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის პირველ პუნქტში შეტანილ იქნეს ცვლილება და დაფიქსირებული „უზრუნველყოფილია ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინებას“ ნაცვლად, კონსტიტუციაში ჩაიწეროს „ამომრჩეველთა ნების გამოვლენა სავალდებულოა“. ასევე, ცვლილებები უნდა შევიდეს საარჩევნო კოდექსში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა და სხვა საკანონმდებლო აქტებში, – განუმარტეს „ახალ თაობას“ გაერთიანებაში.

მათი განმარტებით, კანონმდებლობაში ასევე უნდა დაფიქსირდეს ის სანქციები, რომლებიც დაწესდება იმ პირთა მიმართ, რომლებიც არჩევნებზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდებიან. სანქციები კი შესაძლებელია გამოხატულ იქნას ჯარიმებით, სისტემატურად არჩევნებზე არმისვლის შემთხვევაში კი – საარჩევნო ხმის ჩამორთმევისა და სახელმწიფო სამსახურში რაიმე თანამდებობის დაკავების აკრძალვით.

– აღნიშნულის ამოქმედების შემდეგ ამომრჩეველთა აქტივობა ნამდვილად გაიზრდება და არჩევნებზე ვიხილავთ არა საქართველოს მოსახლეობის ნახევრის, არამედ უმრავლესობის მიერ გამოვლენილ ნებას, მით უმეტეს, აღნიშნული მოდელი უკვე მოქმედებს ევროკავშირში გაწევრიანებულ და სხვა ქვეყნებში, – აღნიშნავენ უფლებადამცველები.

მათი განმარტებით, არჩევნებში მონაწილეობა ათეულობით ქვეყანაშია სავალდებულო.

ესენია: ავსტრია, არგენტინა, ავსტრალია, ბელგია, ბოლივია, ბრაზილია, ჩილე, კოსტა რიკა, კვიპროსი, დომინიკის რესპუბლიკა, ეკვადორი, ეგვიპტე, ფიჯი, საფრანგეთი (მხოლოდ სენატი), გაბონი, საბერძნეთი, გვატემალა, ჰონდურასი, იტალია, ლიხტენშტეინი, ლუქსემბურგი, მექსიკა, ნაურუ, პარაგვაი, პერუ, ფილიპინები, სინგაპური, შვეიცარია, ტაილანდი, თურქეთი და ურუგვაი.

ამ ცვლილების მომხრეების ერთ-ერთი არგუმენტი ისიც არის, რომ არიან ოჯახები, სადაც არცერთი მშობელი არ დადის არჩევნებზე. შესაბამისად, ასეთ გარემოში გაზრდილი ბავშვიც ნაკლებად მოსალოდნელია, რომ წავიდეს არჩევნებზე. თუ არჩევნებში მონაწილეობა სავალდებულო გახდება და ბავშვი თავიდანვე გაიზრდება ასეთ გარემოში, მას ჩამოუყალიბდება კულტურა, რომ არჩევნებში უნდა მიიღოს აუცილებლად მონაწილეობა.

უფლებადამცველთა გაერთიანების აზრით, არჩევნებზე დაბალი აქტივობა გარკვეულმა ჯგუფებმა შესაძლოა თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენონ.

– არჩევნები, სადაც მოსახლეობის დაბალი აქტივობაა, ცხადია, სრულად ვერ ასახავს მოსახლეობის ნებას, ამასთან, იკვეთება გარკვეული ჯგუფების დაინტერესება და ამ შემთხვევაში, სწორედ, დაინტერესებული ჯგუფის ნება იქნება გადამწყვეტი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოსახლეობის მაღალი აქტივობა იქნება, მიღებული შედეგი მოსახლეობის უმრავლესობის ნების გამოხატულება იქნება და არა – გარკვეული დაინტერესებული ჯგუფებისა.

ხმის მიცემის სავალდებულოობის მომხრეები აღნიშნავენ იმასაც, რომ არჩევნებში მონაწილეობის მიუღებლობის შემთხვევაში დიდი ალბათობაა არჩევნების გაყალბებისა. ეს ფაქტორიც აცილებული იქნება, თუ საქართველოშიც დაინერგება ეს სისტემა.

– ამასთან, თუ ამომრჩეველი მხარს არ უჭერს არც ერთ წარმოდგენილ კანდიდატს, უმჯობესია, მივიდეს არჩევნებზე და უნდობლობა გამოხატოს წარმოდგენილი კანდიდატებისადმი, ვიდრე უნდობლობა გამოუცხადოს, ზოგადად, საარჩევნო პროცესს, – განმარტავენ უფლებადამცველთა გაერთიანებაში.

კიდევ ერთი ძლიერი არგუმენტი ხმის მიცემის სავალდებულოობასთან დაკავშირებით ის არის, რომ შესაძლებელია შემცირდეს ხარჯები წინასაარჩევნო კამპანიებისა, როგორიცაა ამომრჩეველთა გამოკითხვა.

საზოგადოების ნაწილი არჩევნებზე იმიტომ არ მიდის, რომ ამით ერთგვარ პროტესტს გამოხატავს. აქედან გამომდინარე, თუ არჩევნები სავალდებულო გახდა, პროტესტის მოყვარული ადამიანების უფლებები დარღვევა.

არასამთავრობო ორგანიზაციაში განგვიმარტეს, რომ არჩევნების სავალდებულოობით არავის უფლება არ დაირღვევა. ამის დასტურად მათ ევროსასამართლოს გადაწყვეტილება მოჰყავთ.

– ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ 1971 წელს დაადგინა, რომ დამკვიდრებული პრაქტიკა, არჩევნებზე სავალდებულო გამოცხადების შესახებ, არ არღვევს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს, რადგან დასავლეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში სავალდებულოა მხოლოდ არჩევნებზე მისვლა და არ არის მოთხოვნა, რომ ადამიანმა აუცილებლად შემოხაზოს რომელიმე კანდიდატი. აღნიშნული დადგენილებით, ევროპულმა სასამართლომ ასევე განმარტა, რომ არ ირღვევა ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მეცხრე მუხლი, რაც გულისხმობს „აზრის, სინდისისა და რელიგიის“ თავისუფლებას.

იმ შემთხვევაში, თუ მხოლოდ საარჩევნო უბანზე მისვლა იქნება სავალდებულო და არა – ხმის მიცემა კონკრეტული პირისათვის ან პოლიტიკური ძალისათვის, ამისათვის მთელ რიგ ქვეყნებში საარჩევნო ბიულეტენებზე გამოყოფილია გრაფა, სადაც მოქალაქეს შეუძლია დააფიქსიროს აზრი იმგვარად, რომ ის წარმოდგენილ არცერთ კანდიდატს არ უჭერს მხარს.

– ამით დასტურდება პირის მონაწილეობა არჩევნებში და ის ფაქტი, რომ ის წარმოდგენილ კანდიდატებს უცხადებს ბოიკოტს და არა – საარჩევნო პროცესს, – განუცხადეს „ახალ თაობას“ უფლებადამცველთა გაერთიანებაში.

უფლებადამცველები იმასაც ამბობენ, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში იმისთვის, რომ გაიზარდოს არჩევნებში საზოგადოების ჩართულობა და იყოს მაღალი აქტივობა, მიმართავენ ამომრჩეველთა წახალისების გზებს.

– აღნიშნული მიდგომა გამოიკვეთა საქართველოშიც, ადგილობრივი თვითმმართველობის 2014 არჩევნებზე, სადაც რამდენიმე ბიზნესკომპანია ფასდაკლებებს სთავაზობდა იმ პირებს, რომლებიც არჩევნებში მიიღებდნენ მონაწილეობას. მიუხედავად ამისა, არჩევნებში აქტივობა საკმაოდ დაბალი იყო. გარკვეულწილად, აქედან და გასული წლების სტატისტიკიდან გამომდინარე, სადაც იკვეთება აქტივობის ძალიან დაბალი მაჩვენებლები, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში აუცილებელია დაინერგოს არჩევნებში სავალდებულო მონაწილეობის სისტემა და შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომები, რომ მოსახლეობამ გააანალიზოს ის ვალდებულება, რასაც საკუთარი ქვეყნის მომავალი ჰქვია, – აღნიშნეს არასამთავრობო ორგანიზაციაში.

მათივე განმარტებით, აღნიშნული ცვლილება უნდა იყოს არა ხალხის იძულება და შიშის დანერგვა სანქციების მეშვეობით, არამედ ამ ცვლილებით ხალხში უნდა გაჩნდეს კანონის პატივისცემა.

უფლებადამცველთა გაერთიანების ინიციატივას რამდენიმე არასაპარლამენტო ოპოზიცია მხარს ოფიციალურად უჭერს.

ვნახოთ, რას იზამს პარლამენტი.

პედრო აგრამუნტი: „აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „გაყინული“ კონფლიქტები ევროპის უსაფრთხოებას საფრთხეს უქმნის“

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „გაყინული“ კონფლიქტები ევროპის უსაფრთხოებას საფრთხეს უქმნის. ასეთი მოსაზრება ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა პედრო აგრამუნტმა საინაუგურაციო სიტყვაში გამოთქვა.

– ევროპაში კონფლიქტები კვლავ



გადაუწყვეტი რჩება. ვითარება უკრაინაში კვლავ ფაქიზია. კონფლიქტმა 9.000-ზე მეტი ადამიანი იმსხვერპლა, რუსეთის მიერ მხარდაჭერილი სეპარატისტები ქვეყნის ნაწილს კვლავ აკონტროლებენ, მშვიდობა კი კვლავ მიუღწევადია.

უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საფრთხეები და გაყინული კონფლიქტები კვლავ არსებობს ისეთ რეგიონებში, როგორიცაა დნესტრისპირეთი, მოლდოვას რესპუბლიკა, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, საქართველო და მთიანი ყარაბაღი, აზერბაიჯანი.

ჩვენი მხრიდან, უნდა გავაგრძელოთ მსჯელობა გაყინულ კონფლიქტებზე ევროპის ზოგიერთ რეგიონში, მათ შორის დნესტრისპირეთში – რესპუბლიკა მოლდოვა, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი – საქართველო და მთიანი ყარაბაღი -აზერბაიჯანი. ეს კონფლიქტები ევროპის უსაფრთხოებას უქმნის საფრთხეს, – განაცხადა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ახალმა პრეზიდენტმა.

ინტერპრესნიუსი

„არარატს“ სოხუმში მატჩი ჩაუშალეს

შორენა მარსაგიშვილი

„ახალი თაობა“ უკვე იუწყებოდა, რომ 27 იანვარს სოხუმში ამხანაგური მატჩი უნდა გამართულიყო, სადაც ერთმანეთს ერევნის „არარატი“ და ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგა“ უნდა შეხვედროდნენ.

ამ მატჩისთვის აფხაზეთში მცხოვრები სომხები საგანგებოდ ემზადებოდნენ. დაახლოებით ისეთი სამზადისი იყო, გასული წლის ზაფხულს თბილისში ბარსელონა-სევილიის სუპერთასზე რომ იყო. მართალია, „არარატში“ მესი არ თამაშობს, მაგრამ ჭეშმარიტი სომხის თვალში „არარატის“ ყოველი მოთამაშე (მეკარის გარდა) ორჯერ უფრო მესია.

ამ ინფორმაციის გავრცელებას ენგურსგამოღმა საქართველოში დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილმა მოითხოვა, რომ „არარატს“ თბილისში ჩამოსვლა აეკრძალოს.

თამაშამდე ერთი დღით ადრე, ანუ 26 იანვარს, ცნობილი გახდა, რომ „არარატი“ სოხუმში აღარ ჩავა. არადა, აფხაზური მედიის ნაწილი მისი იქ ყოფნის შესახებ იუწყებოდა.

ამხანაგური მატჩის ჩაშლის შესახებ ინფორმაცია საზოგადოებას აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა რუსლან აჯინჯალმა მიაწოდა.

აჯინჯალის ინფორმაციით, „ვოლგასა“ და „არარატს“ შორის დაგეგმილი ამხანაგური მატჩი საქართველოს ხელისუფლებამ, კონკრეტულად კი საგარეო საქმეთა სამინისტრომ ჩაშალა.

საქმეში სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროც ჩარეულა და უშუალოდ მათ აუკრძალავთ არარატელებისთვის სოხუმის მინდვრებში ბურთის გაგორება.

– ჩვენ დაგვიკავშირდა „არარატის“ ხელმძღვანელობა და გვითხრეს, რომ ამხანაგურ მატჩში მონაწილეობას აღარ მიიღებდნენ. როდესაც უარის მიზეზი ვკითხეთ, გვიპასუხეს: სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ აფხაზეთის ტერიტორიაზე საფეხბურთო მატჩების ჩატარება აგვიკრძალაო, – აღნიშნა მედიასთან საუბარში უარარატოდ დარჩენილმა აჯინჯალმა.

მას სომხური კლუბის ხელმძღვანელობამ ისიც უამბო, თუ როგორ ააწიოკა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ სომეხი კოლეგები.

– საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განუცხადა, რომ არ იქნება სასურველი, თუ ერევნული კლუბი აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩაატარებდა თამაშებს. „არარატი“ თავისი ხელისუფლების ნების წინააღმდეგ ვერ წავიდა, – განმარტავს აფხაზური ფეხბურთის მოქმედი მამა.

„არარატი“ ამ დროისთვის სოჭში იმყოფება. როგორც აფხაზური მედია ამბობს, ის აფხაზეთშიც იყო, მაგრამ სოხუმში თამაში ვერ გაბედა.

ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტროს წყალობით კი შესაძლოა დღეისათვის, 27 იანვრისთვის, დაგეგმილი ამხანაგური მატჩი საერთოდ ჩაიშალოს. გუშინ საღამომდე აჯინჯალმა არ იცოდა, ვინ შეხვდებოდა აფხაზეთში საწვრთნელ შეკრებაზე მყოფ „ვოლგას“.

26 იანვარს აფხაზური ფეხბურთის მამა-ბიძებმა „ვოლგის“ სპარინგ-პარტნიორის ძიებაში გაატარეს.

– იმ შემთხვევაში, თუ ვერ ვუპოვეთ გუნდი, „ვოლგა“ სოჭში გაემგზავრება და იქ გამართავს სომეხ ფეხბურთელებთან შეხვედრას. უბრალოდ, მათ აქ ჰქონდათ ჩანიშნული ამხანაგური შეხვედრის ჩატარება. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მათთვის პარტნიორი ვიპოვოთ. ეს მატჩი უნდა გაიმართოს, – ამბობს აჯინჯალი.

ნონა ცაბაძე

მამუკა გამყრელიძე: „ახალი პრემიერი ივანიშვილს სჭირდება“

საქართველოს ყოფილი ელჩი ჩინეთში მამუკა გამყრელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში არსებულ ბოლო პერიოდის პროცესებზე საუბრობს.

– დიდი აურზაურია უმრავლესობაში. სიების თემამ მათ მოსვენება დაუკარგა. როგორ დალაგდება ეს საკითხი?

– როგორც მახსოვს, მეჭიაურმა გააკეთა ამის შესახებ განცხადება, ფულს ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვეთსო და სწორედ ასეც იქნება. სამწუხაროდ, საქართველო გადაიქცა ერთ დიდ ქარვასლად, იყიდე-გაყიდე, მეტი არაფერი ხდება. სამწუხაროა, მაგრამ ასეა.

– თქვენი გუნდი თუ აპირებს არჩევნებში მონაწილეობას?

– მე არცერთ გუნდში აღარ მოვიაზრები. ივერიაშიც მინიმუმამდეა დასული ჩემი ურთიერთობები. არც ვიცი, ისინი რამე პოლიტიკურ აქტივობას აპირებენ თუ არა.

– რატომ თქვით უარი პოლიტიკაზე?

– არ არის ეს ჩემი საქმე. არიან ადამიანები, რომლებიც პოლიტიკისთვის არიან დაბადებულები. მე საზოგადოებრივი აქტივობა მერჩია, მაგრამ, ახლა რომ ვუყურებ, არც საზოგადოებრივ აქტივობას მოაქვს დიდი შედეგი. შესაბამისად, მინიმუმამდე დავიყვანე ჩემი ნებისმიერი აქტივობა. ამ ეტაპზე დაკავებული ვარ მხოლოდ საკუთარი ოჯახით. ვხატავ და ვცდილობ, რომ ეს პერიოდი როგორმე გადავიტანო.

– ბიზნესში ხომ არ წახვედით?

– არც ბიზნესით ვარ დაკავებული. არანაირი ბიზნესი არ გამაჩნია და ამ ეტაპზე არც ის ვიცი, რას გავაკეთებ.

– რატომ ჩაიქნიეთ ხელი? პერსპექტივას ვერ ხედავთ ქართულ პოლიტიკაში?

– ვერა! ამ ეტაპზე ვერ ვხედავ. საჭიროა, კიდევ გარკვეულმა პერიოდმა გაიაროს და ამ ხალხში ჩამოყალიბდეს ერთგვარი გაღიზიანება ამ მდგომარეობის მიმართ. პლუს უნდა გამოჩნდეს ლიდერი. ქართულ რეალობაში კი მე ვერ ვხედავ ქარიზმატულ ლიდერს, რომელსაც შეუძლია ღრმა ცვლილებების მოხდენა საქართველოში.

– შეიცვალა პრემიერ-მინისტრი. ის აქტიურად თანამშრომლობს როგორც არასაპარლამენტო ოპოზიციასთან, ისე არასამთავრობო ორგანიზაციებთან. მის წინამორბედთან შედარებით, არც ხისტი პოლიტიკით გამოირჩევა. ვერ შეძლებს გიორგი კვირიკაშვილი, დაალაგოს პოლიტიკური პროცესები?

– წინა პრემიერის პირობებში შეიძლება გაღიზიანება მეტი ყოფილიყო. ბიძინა ივანიშვილი ჭკვიანი და დაფიქრებული კაცია და ზუსტად იმ მომენტში ახერხებს სწორი ნაბიჯების გადადგმას, როცა ეს აუცილებელი და საჭიროა, ოღონდ არა ქვეყნისთვის, არამედ პირადად მისთვის.

– ანუ პირადად მას სჭირდებოდა პრემიერის ცვლილება?

– დიახ. მან სათავისოდ სწორი ნაბიჯი გადადგა, მოიყვანა კვირიკაშვილი, რომელიც ყველაზე ნაკლებად ოდიოზური იყო ამ გუნდში, არც დიდი წარმატებით გამოირჩეოდა, რადგან ჩვენ ეკონომიკაში დიდი წარმატებები არ გვქონია. თუმცა ეს ადამიანი, მისი ბუნებიდან გამომდინარე, არ აღიზიანებს არავის და ყველას სჯობია თავისი მოქმედებითაც, თავისი რიტორიკითაც და შესაბამისად მოიყვანეს ასეთი ადამიანი, რომელიც არ გააღიზიანებდა არავის. თუმცა არაფერი გაკეთდება და შეიცვლება.

– რატომ?

– კვირიკაშვილი შეიძლება იყოს ძალიან ჭკვიანი ადამიანი, ძალიან დაფიქრებული და სწორად მოაზროვნე, მაგრამ ის დამოუკიდებელი არ არის. ამიტომ არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ამ თანამდებობაზე იქნება ხისტი ღარიბაშვილი თუ უფრო რბილად მოსაუბრე კვირიკაშვილი. ზუსტად იგივე ეფექტი ექნება, გია სურამელაშვილი რომ დანიშნონ ამ პოსტზე, რა ეფექტიც კვირიკაშვილის დანიშვნას მოჰყვა.

– თქვენ ასე ფიქრობთ?

– რასაკვირველია, რადგან არც ერთი, არც მეორე და არც მესამე არაფერს დამოუკიდებლად არ აკეთებენ. ყველაფერს აკეთებს ბიძინა ივანიშვილი. უბრალოდ, ამ არჩევნების წინ ძალიან სწორი გადაწყვეტილება იყო ისევ და ისევ ივანიშვილის სასარგებლოდ. თორემ რეალურად არაფერი შეიცვლება ქართულ პოლიტიკაში. ყველა პროცესს აკონტროლებს თავად ივანიშვილი და მისი რამდენიმე მრჩეველი. ეჭვი მაქვს, ეს მრჩევლები ქართველები არ არიან.

– საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებით სერიოზული კამათი მიმდინარეობს. დათმობს ხელისუფლება რაიმეს ამ თვალსაზრისით? ითქვა, რომ სპეცუბნები უქმდება.

– არაფერსაც არ დათმობს. სპეცუბნები არ იქნება, კი ბატონო, უშველა რამე ამ სპეცუბნების ქონამ ნაციონალებს? ვერ უშველა. ამ შემთხვევაში გაცილებით მნიშვნელოვანია პარლამენტის ნახევრის დაკომპლექტება მაჟორიტარებით და ეჭვი ნურავის შეეპარება, რომ მაჟორიტარებს ყველას მოიგებენ. ჩათვალეთ, რომ დადასტურებულად გაიმარჯვებენ საპარლამენტო არჩევნებში. ახლა არაფერსაც არ შეცვლიან.

– სიებს ერთპიროვნულად ივანიშვილი შეადგენს?

– დარწმუნებული ვარ ამაში და ეს აჩვენა საგურამოს შეკრებამაც. დღეს ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ ჩვენ, უმცირესობა, ძალად ვატენით და ვაძალებთ ქვეყნის უმრავლესობას ცხოვრების რაღაც წესს და არ უნდა ამ ხალხს და რატომ ვაძალებთ? რაც უნდა უმრავლესობას, სწორედ ის ხდება ახლა. შევეცადეთ, უკეთესი გზა გვეჩვენებინა, მაგრამ არ უნდათ. შეიძლება ბევრმა გამაკრიტიკოს ამის გამო, მაგრამ ნაციონალურ მოძრაობას უფრო მწვავე და აქტიური პოზიცია უნდა დაეჭირა.

– მაინც რა უნდა ექნათ ნაციონალებს? ისინი საკმარისზე მეტად აქტიურობენ.

– არ აქტიურობენ ისე, როგორც საჭიროა. როგორც ჩანს, მიხვდნენ, რომ ამ ეტაპზე შეუძლებელია ცვლილებების განხორციელება და ისინიც 2020-სკენ მიდიან.

– ანუ მომდევნო ოთხი წელი არაფერი შეიცვლება?

– ასე გამოდის. თუმცა არის კიდევ სხვა ფაქტორებიც, რამაც შესაძლოა საგრძნობლად შემოაბრუნოს სიტუაცია. შეიძლება ეკონომიკური ფონი ისე დამძიმდეს, რომ ამან ყველაფერი ამოატრიალოს. იმან, რაც რუსეთში ხდება, გამორიცხულია, ჩვენზე გავლენა არ მოახდინოს. რუსეთში ბევრი ქართველი ცხოვრობს, რომლებიც აქ ინახავდნენ ოჯახებს. ისინი ამ ფულს ვეღარ გამოაგზავნიან. ეს ჩვენს მოსახლეობაზე ძალიან იმოქმედებს. ასევე აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი.

– რას გულისხმობთ?

– ამ ეკონომიკურმა რყევებმა შესაძლოა რუსეთში მძიმე პოლიტიკური შედეგები მოიტანოს. უკვე მოაქვს კიდეც. ძალიან უცნაური გამოსვლები აქვს პუტინს. ის მიგვითითებს, რომ მიდის საბჭოთა კავშირის ტიპის სახელმწიფოს შექმნისკენ. მას მეტი გამოსავალი არ ექნება, გარდა იმისა, რომ დახუროს ეს ქვეყანა. ეს სერიოზულ პრობლემებამდე მიგვიყვანს.

ასევე პრობლემები იქნება ჩრდილოეთ კავკასიაში, კერძოდ კი ჩეჩნეთში. არც ის არის გამორიცხული, რომ პუტინმა კიდევ ერთი შეტევა განახორციელოს ჩრდილოეთ კავკასიაზე. ჩვენ სწორედ ამ პროცესში უნდა განვიხილოთ ჩვენი ქვეყანა.

რთულ გეოპოლიტიკურ სიტუაციაში ვართ. ჩვენი სახელმწიფო კი ამ რთული პროცესისთვის მზად არ არის. ექსტრემალური სიტუაცია რომ შეიქმნება, ამას წყალი არ გაუვა.

სერგეი ლავროვი: „ისლამური სახელმწიფო პანკისის ხეობას თავშესაფრად იყენებს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

როცა საქართველოს ხელისუფლება რუსეთს „ენის მოჩლექით“ ესაუბრება, ძნელია იმის გაგება, თუ რეალურად რა ქმედებებია დაგეგმილი რუსეთთან მიმართებით.

– როდესაც ჩვენი მმართველი კოალიცია დასავლეთთან და დანარჩენ მსოფლიოსთან მიმართებით ძალიან თამამია, მაგრამ რუსეთთან ენის მოჩლექით საუბრობს, მე ნამდვილად არ ვიცი, რა მოქმედებებია დაგეგმილი ჩვენი ხელისუფლებისა და რუსეთის ურთიერთობებში, ვგულისხმობ აბაშიძე-კარასინის ფორმატს. თუმცა ჩემთვის მოულოდნელი არ იქნება არასწორი ნაბიჯების გადადგმა, თუ ოკუპანტთან არ შევწყვიტეთ მეგობრული საუბარი, – აცხადებს ბაჩუკი ქარდავა.

ნაციონალური მოძრაობის წევრი მიხეილ მაჭავარიანი რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელ სერგეი ლავროვის განცხადებებს ქართველი ხალხის დაცინვად აფასებს.

როგორც მაჭავარიანმა „ნიუპოსტს“ განუცხადა, საქართველო-რუსეთის ურთიერთობა გაყინვის სტადიიდან მხოლოდ მაშინ გამოვა, როდესაც რუსეთს ქვეყნის ტერიტორიები ოკუპირებული აღარ ექნება.

მიხეილ მაჭავარიანი:

– რაც შეეხება ყინულის დაძვრას, რას გულისხმობს ლავროვი, რომ ორი კონა მწვანილი გავიდა რუსეთში? ჩვენი ყინული დაიძვრება მაშინ, როდესაც რუსეთი ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით კონკრეტულ გადაწყვეტილებებს მიღებს. ეს არის დეოკუპაცია, ეს არის ყინულის დაძვრა. სამი წლის განმავლობაში ბევრჯერ გამიგია შეხვედრების დაწყების შესახებ, მაგრამ არ მესმის, რაზე უნდა იყოს საუბარი. კარასინი-აბაშიძე ხომ საუბრობენ კიტრებსა და პამიდორზე. რამე არის სხვა თემა, გარდა საოკუპაციო თემისა? რაც შეეხება დიპლომატიურ ურთიერთობას, საქართველოში ვერცერთი ხელისუფლება, გარდა ოკუპანტების მარიონეტისა, ვერ დაეთანხმება, რომ საქართველოს ტერიტორიაზე იყოს სამი საელჩო. ეს უნიათო ხელისუფლებაც ვერ გააკეთებს ამას, რადგან ეს მათი ხელისუფლებიდან წასვლის მიზეზი იქნება.

29 იანვრიდან ყინვა შესუსტდება

საქართველოში დღეს შენარჩუნებული იქნება ცივი და დროგამოშვებით თოვლიანი ამინდი, მაღალმთიან რაიონებში – ზოგან ქარბუქი.

27 იანვარს ქვეყნის ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე გამოიდარებს, გაძლიერდება ყინვა.

დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში ღამის მინიმალური ტემპერატურა მოსალოდნელია -7, -2, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში -12, -7.

თბილისში ჰაერის ტემპერატურა იქნება -9, -7 გრადუსი.

დღის მაქსიმალური ტემპერატურა 27 იანვრის ჩათვლით დაბლობსა და ბარში იქნება -3, +2 გრადუსი.

28-31 იანვარს დასავლეთ საქართველოს ცალკეულ რაიონში მოსალოდნელია მცირე ნალექი.

29 იანვრიდან ყინვა შესუსტდება.

ნიუსპრესი

მიხეილ ჯანელიძე ლიტვის ელჩს შეხვდა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ საქართველოში ლიტვის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩ გიედრიუს პუოჯუნასთან შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე მინისტრმა და ელჩმა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებში გასული წლის განმავლობაში არსებული დინამიკა შეაჯამეს და წლის განმავლობაში განსახორციელებელ ღონისძიებებზე ისაუბრეს, მათ შორის მაღალი დონის ვიზიტებზე.

მიხეილ ჯანელიძემ ელჩს გააცნო პრიორიტეტული მიმართულებებით გადადგმული ნაბიჯები, რომლებიც ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესს უწყობს ხელს.

ელჩმა დადასტურა ლიტვის მზაობა, დახმარება გაუწიოს საქართველოს იმ სფეროებში, სადაც ლიტვას მოწინავე გამოცდილება გააჩნია. მან ასევე აღნიშნა, რომ ლიტვა საერთაშორისო არენაზე და სხვადასხვა ორგანიზაციის ფარგლებში ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების უზრუნველსაყოფად საქართველოს მხარდაჭერას აგრძელებს.

ელჩმა და მინისტრმა ასევე ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის დროული ამოქმედების მნიშვნელობასა და ნატოს ვარშავის სამიტზე საქართველოს მოლოდინების შესახებ ისაუბრეს.

ნიუსპრესი

30 წლის განმავლობაში ბათუმში თოვლის ამხელა საფარი არ დაფიქსირებულა

ბათუმში, 26 იანვრის მონაცემებით, თოვლის საფარის სიმაღლემ 80 სმ-ს გადააჭარბა.

გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ბოლო 30 წლის განმავლობაში ბათუმში ასეთი უხვთოვლიანობა არ დაფიქსირებულა.

სპეციალისტების თქმით, 1985 წელს თოვლის საფარის სიმაღლე 101 სმ დაფიქსირდა.

არსებული სინოპტიკური ინფორმაციით, უახლოეს 1 საათში თოვა შეწყდება.

ნიუსპრესი

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

გიორგი ქადაგიძე: „ლარის კურსი უახლოეს მომავალში დასტაბილურდება“

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე უახლოეს მომავალში ლარის კურსის დასტაბილურებას ვარაუდობს.

„მე ანგარიშს არ ვაბარებ არც ბატონ მეჭიაურსა და არც ბატონ ტყემალაძეს, არამედ ვაბარებ ქართველ ხალხს“

შესაბამისი განცხადება გიორგი ქადაგიძემ გუშინ, 26 იანვარს, გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

– ლარის გაუფასურება დიდწილად დაკავშირებულია იმ უარყოფით მოლოდინებთან, რომლებიც ბაზრის მონაწილეებს გაუჩნდათ მეზობელ ქვეყნებში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, – განაცხადა გიორგი ქადაგიძემ.

მან აღნიშნა, რომ, 2015 წლისგან განსხვავებით, დღეს ლარის გაუფასურებაზე არ ახდენს გავლენას საგადამხდელო ბალანსი.

– კურსის 2.4 კორიდორში იმპორტი იმ რაოდენობით არის შემცირებული, რომ ქვეყანაში შემომავალი და გამავალი უცხოური სავალუტო ნაკადები არის დაბალანსებული. ფულის მასა მაქსიმალურად შევზღუდეთ. ფულის მასის ზრდა არის ნულთან ახლოს. შესაბამისად, არც მონეტარული აგრეგატები ლარის კურსზე გაუფასურების მიმართულებით არ ახდენს გავლენას, – განაცხადა გიორგი ქადაგიძემ.

სწორედ ამიტომ ეროვნული ბანკი ახორციელებს წერტილოვან ინტერვენციებს.

– სწორედ ამიტომ ჩვენ გვაქვს სრული საფუძველი ვივარაუდოთ, რომ უახლოეს მომავალში მოხდება ლარის კურსის სტაბილიზაცია და ლარი დაუბრუნდება აღნიშნულ კორიდორს, – განაცხადა ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა.

ის მონეტარული პოლიტიკის მორიგ ჯერზე გამკაცრებას არ გამორიცხავს.

– ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი თანხმობა მთავრობასთან, რომ საჭიროების შემთხვევაში მოხდება ფისკალური კონსოლიდაციაც, – განაცხადა ქადაგიძემ.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება ლარის დასტაბილურების უებარი რეცეპტი არ არის.

– მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებას აქვს სხვა ბევრი უარყოფითი მხარე, მათ შორის ბრუნვების, კერძო სექტორში აქტივობისა და ეკონომიკური ზრდის შემცირება, – აღნიშნა ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა.

მისი თქმით, მოსახლეობის შემოსავლების რეალური ზრდა პირდაპირ დაკავშირებულია ინვესტიციების, ექსპორტისა და ტურიზმის შემოსავლების ზრდასთან.

– ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით, გაიმართოს ძალიან საფუძვლიანი მსჯელობა. პარლამენტის ტრიბუნა ამისთვის ძალიან სწორი და ადეკვატური ადგილია. ვიმედოვნებ, რომ პირველივე სასესიო კვირაში მოხდება ეროვნული ბანკის პრეზიდენტის წლიური ანგარიშის განხილვა, – განაცხადა ქადაგიძემ.

ის ფინანსური სტაბილურობის ანგარიშის გამოუქვეყნებლობასაც შეეხო და აღნიშნა, რომ ეს პირადად მისი გადაწყვეტილება იყო.

– ყველა შეფასებით, ეროვნული ბანკი არის ყველაზე გამჭვირვალე ორგანიზაცია. ჩვენ უამრავ ინფორმაციას ვაქვეყნებთ ვებგვერდზე და ათიათასობით მოქალაქე ყოველდღიურად იღებს მისთვის საჭირო ინფორმაციას ჩვენი ვებგვერდიდან. რაც შეეხება ფინანსური სტაბილურობის ანგარიშის არგამოქვეყნებას, ეს არის პირადად ჩემი გადაწყვეტილება და თუ რატომ მივიღე ეს გადაწყვეტილება, რომ არ გამოქვეყნებულიყო ეს ანგარიში, ამაზეც სიამოვნებით ვუპასუხებ დეპუტატებს, თუ ამის სურვილი ექნებათ, – განაცხადა ქადაგიძემ.

ფინანსური სტაბილურობის ანგარიშს საქართველოს ეროვნული ბანკი ყოველწლიურად გამოსცემს, რომელიც საქართველოს ფინანსური სტაბილურობის მაკროეკონომიკური ასპექტებისა და საბანკო სისტემის მდგრადობის უზრუნველყოფის ანალიზს მოიცავს. ეროვნული ბანკის ვებგვერდზე არსებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნული ანგარიში 2011 წლის შემდეგ არ გამოქვეყნებულა.

* * *

– მე ანგარიშს არ ვაბარებ არც ბატონ მეჭიაურს და არც ბატონ ტყემალაძეს, არამედ ვაბარებ ქართველ ხალხს.

ეს განცხადება გიორგი ქადაგიძემ ზოგიერთი დეპუტატის იმ განცხადების კომენტირებისას გააკეთა, რომლის თანახმადაც, ქადაგიძის ანგარიში საინტერესო არ არის.

გიორგი ქადაგიძე მიიჩნევს, რომ პარლამენტის წინაშე ეროვნული ბანკის წლიური ანგარიშით წარდგომა მნიშვნელოვანია, რათა კითხვებზე პასუხის გაცემა მოხდეს.

– რიგი დეპუტატები და, სამწუხაროდ, კომიტეტის თავმჯდომარეები აცხადებენ, რომ მათთვის არ არის საინტერესო ამ ანგარიშის მოსმენა და ამ თემებზე საუბარი. მე მინდა მარტივად ვთქვა, რომ ანგარიშს არ ვაბარებ არც ბატონ მეჭიაურსა და არც ბატონ ტყემალაძეს. მე ანგარიშს ვაბარებ ქართველ ხალხსა და საზოგადოებას, რომლებსაც აინტერესებთ კითხვებზე პასუხის გაცემა, – განაცხადა ქადაგიძემ.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ კითხვებზე პასუხის გაცემა აუცილებელია იმისთვის, რომ მოხდეს გაანალიზება – სად იყო წარმატება, სად წარუმატებლობა, სად მოხდა შეცდომების დაშვება და „რაც მთავარია, რა მიმართულებით უნდა განვითარდეთ იმისთვის, რომ დავძლიოთ ის გამოწვევები, რომლებიც ჩვენს ქვეყანას გააჩნია“.

გიორგი ქადაგიძის თქმით, რამდენიმე კვირაში მისი საკონსტიტუციო მანდატი, როგორც ეროვნული ბანკის ხელმძღვანელის, იწურება, ამიტომ მიაჩნია, რომ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ამ რანგში მისი ბოლო ანგარიშის მოსმენა.

– მე არ ვიქნები დამძიმებული იმ ჩარჩოებით, რომლებიც, როგორც წესი, ახლავს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელის ანგარიშს. შესაბამისად, მექნება საშუალება, ვისაუბროთ ყველა საკითხზე, რომლებიც ამ პერიოდის განმავლობაში იყო აქტუალური, – განაცხადა ქადაგიძემ.

ინტერპრესნიუსი

დიმიტრი ქუმსიშვილი: „ლარი უფრო მეტადაა გაუფასურებული, ვიდრე უნდა იყოს“

ვიცეპრემიერის, ეკონომიკის მინისტრ დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, ლარის კურსზე გარე ფაქტორები, რა თქმა უნდა, აისახა, თუმცა ეროვნული ვალუტა ცოტა უფრო მეტად გაუფასურდა, ვიდრე უნდა გაუფასურებულიყო.

ამის შესახებ ქუმსიშვილმა ჟურნალისტებს ეროვნული ვალუტის გაუფასურების ფაქტის კომენტირებისას განუცხადა.

მისი თქმით, მოკლევადიანი ინსტრუმენტები, რომლებიც სახელმწიფოს მთლიანობაში გააჩნია, არის ინტერვენცია და ფულადი მასის შეზღუდვა.

– ამ წუთში ფულადი მასის შეზღუდვებზე საუბარი არ არის. რაც შეეხება ინტერვენციებს, ეროვნულმა ბანკმა იგი განახორციელა პარასკევს. რაც შეეხება თვითონ კურსთან მიმართებით არსებულ მდგომარეობას, მინდა მოგახსენოთ, რომ გარე ფაქტორები, რომლებიც ჩვენ გვაქვს და ჩვენს ძირითად სავაჭრო პარტნიორებთან მიმდინარეობს, რა თქმა უნდა, აისახა ჩვენი ვალუტის კურსზე, თუმცა ამ წუთში ის მაკროეკონომიკური ანალიზი, რომელსაც ჩვენ ვაკეთებთ, აჩვენებს, რომ ჩვენ ცოტა უფრო მეტად გავუფასურდით, ვიდრე უნდა გავუფასურებულიყავით, – განაცხადა ქუმსიშვილმა.

ამის მიზეზად ეკონომიკის მინისტრი მოლოდინებსა და საქართველოს ბაზრის იმაზე მეტ რეაქციას ასახელებს, ვიდრე რეალურად უნდა მომხდარიყო.

– დაგროვილი ლარის კონვერტაცია მოხდა დოლარში არაპირდაპირი დანიშნულებით ანუ დაზოგვის მიზნით. უფრო მოხდა აღნიშნული, ვიდრე იმიტომ, რომ ეს სჭირდებოდა ჩვენს ქვეყანას სავაჭრო ურთიერთობებში. სავაჭრო ურთიერთობებთან მიმართებაში იმპორტი ამ თვეში შემცირებულია. ეს ინფორმაცია დასაზუსტებელია, მაგრამ წინა წლის ამ თვესთან შედარებით, იმპორტი 25%-ით არის შემცირებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ლარის კურსზე ზეწოლა მკვეთრი არ უნდა იყოს.

ჩვენ ვართ ღია ეკონომიკა. ჩვენ არა ვართ დახურული ეკონომიკა, როდესაც საზღვრები დახურულია, ხელით ხდება შემოტანილი იმპორტის მართვა და დაკეტვა საბაჟოზე, რაც

თავის თავში მოიცავს რისკებს, რომ ინფლაციური მომენტები ანუ ფასების ზოგადი ზრდა მოხდეს, – განაცხადა ქუმსიშვილმა.

ეკონომიკის მინისტრის თქმით, ის ყოველდღიურად ძალიან აქტიურ კომუნიკაციაში იმყოფება როგორც ფინანსთა სამინისტროსთან, ასევე ეროვნულ ბანკთან და იმედოვნებს, რომ „აღნიშნული აჟიოტაჟური მდგომარეობა ძალიან მალე დასრულდება“.

„ათი წლის წინანდელ მდგომარეობას დავუბრუნდით“

ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი რომან გოცირიძე ფეისბუქის საკუთარ გვერდზე სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებით პოსტს აქვეყნებს.

„ბიზნესპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ გოცირიძის პოსტს:

– თვის ბოლომდე ოთხი სამუშაო დღეა დარჩენილი და ბიუჯეტში მხოლოდ 476 მილიონი ლარია შემოსული. ხარჯები თითქმის ასი მილიონი ლარით მეტია გაწეული. ესეც ერთ-ერთი მიზეზია ლარის გაუფასურების.

მთავრობაში სერიოზული სახეებით მსჯელობენ მოგების გადასახადის გაუქმებასა თუ ტრანსფორმაციაზე. ვერ მიმხვდარან, რომ დღევანდელი ჩვენი მთავარი ამოცანა არის სტაბილიზაცია და არა სტიმულირება. ათი წლის წინანდელ მდგომარეობას დავუბრუნდით.

ყველაზე დიდი საფრთხე ილუზიაში მყოფი ხელისუფლებიდან მოდის.

„დელტა“ საუდის არაბეთს სამედიცინო საევაკუაციო ჯავშანმანქანებს მიაწვდის

სსსტც „დელტა“ საუდის არაბეთს სამედიცინო საევაკუაციო ჯავშანმანქანებს მიაწვდის. საუდის არაბეთის სამეფოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გამოცხადებული ტენდერი თანამედროვე სამედიცინო-საევაკუაციო ჯავშანმანქანების შესყიდვას ითვალისწინებს. „დელტას“ მიერ დამზადებული 4X4 სავალი ნაწილის ფორმულის მქონე ჯავშანმანქანა ტენდერში მონაწილეობის მისაღებად საუდის არაბეთში 2014 წლის 27 აგვისტოს გაიგზავნა. მანქანის ტესტირებები კი 1-დან 19 სექტემბრამდე გაგრძელდა.

საველე ტესტირებებისას ადგილობრივი მძღოლ-მექანიკოსების მიერ მანქანა სხვადასხვა რელიეფის პირობებში გამოიცადა – მათ შორის, მანევრირება მაღალ და დაბალ სიჩქარეებზე, მუხრუჭების, აჩქარების, მაქსიმალური სიჩქარის ტესტი, გამავლობის შემოწმება მაღალმთიან და უდაბნოს პირობებში, ძრავისა და სავალი ნაწილების მაქსიმალური დატვირთვის შემოწმება 40-კილომეტრიანი გარბენის პირობებში ზღვრულ სიჩქარეებზე.

სულ ტესტირებაში მონაწილეობდა სხვადასხვა კომპანიის მიერ წარმოებული 6 ერთეული ჯავშანმანქანა – როგორებიცაა Oshkosh, Streit Group, AIG, Steyr, Lenco bearcat.

„დელტას“ ცნობით, ქართულმა სამედიცინო ჯავშანმანქანამ წარმატებით გაიარა ტესტირების ყველა ეტაპი და გავიდა ფინალში ამერიკულ კომპანია LENCO-სთან ერთად, თუმცა, ქართულმა ჯავშანმანქანამ ყველა ტექნიკური პარამეტრით უკეთესი შედეგი აჩვენა, ვიდრე მისმა ამერიკელმა კონკურენტმა. ტესტირებების დასრულების შემდეგ თვეების განმავლობაში სატენდერო კომისიაში მიღებული შედეგების შეჯამება და ანალიზი მიმდინარეობდა.

2015 წლის დასაწყისში კომისიის მიერ სსსტც „დელტას“ წარედგინა კონკრეტული ტექნიკური მოთხოვნილებები, რის შედეგადაც „დელტამ“ კონკრეტულ მოთხოვნებსა და პირობებზე მორგებული სამედიცინო-საევაკუაციო ჯავშანმანქანის პროტოტიპი დაამზადა.

2015 წლის მარტში „დელტას“ საუდის არაბეთის ოფიციალური დელეგაცია ეწვია, რა დროსაც მათ „დელტას“ საწარმოო ბაზა შეაფასეს და დაათვალიერეს მათი მოთხოვნების შესაბამისად მოდიფიცირებული უახლესი სამედიცინო ჯავშანმანქანა.

2015 წლის დეკემბრის მდგომარეობით საუდის არაბეთთან გაფორმებულია ხელშეკრულება ასზე მეტი ქართული წარმოების სამედიცინო-საევაკუაციო ჯავშანმანქანის მიწოდებაზე, რომელთა საერთო ღირებულება ას მილიონამდე ლარია. კონტრაქტის წარმატებით დასრულების შემდეგ სსიპ სსსტც „დელტა“, კვლავ გააგრძელებს თანამშრომლობას საუდის არაბეთის სამეფოს სახმელეთო ძალებთან და მიაწვდის სხვადასხვა დანიშნულების რამდენიმე ასეულ ჯავშანმანქანას.

ჯავშანტექნიკის პირველი პარტია 12 მანქანის რაოდენობით საუდის არაბეთში 30 იანვარს გაიგზავნება.

ნიუსპრესი

„ხანდახან კაცს თავი სტკივა, თავს კედელს უბრახუნებს და ციტრამონი არ აქვთ, რომ მისცენ“

რა ხდება საქართველოს ციხეებში?

გულიკო ბალაძე

რა მდგომარეობაა საქართველოს ციხეებში და რა არის ჯერ კიდევ გამოსასწორებელი? ამ საკითხზე „ახალი თაობა“ პენიტენციარული სისტემის ექსპერტსა და ადვოკატ ვლადიმერ ტაბაღუას ესაუბრა.

– ბატონო ვლადიმერ, რა მდგომარეობაა ზოგადად საქართველოს ციხეებში?

– ზოგადად საქართველოს ციხეებში დღესაც სუფევს პატიმართა და მსჯავრდებულთა შენახვის ისეთი პირობები, რომლებიც გაეროსა და ევროპული სტანდარტებისაგან შორსაა.

– რატომ ფიქრობთ ასე?

– სისტემა განიცდის კვალიფიციური კადრების საშინელ შიმშილს. მთლიანად სისტემაში მოზიდულია არაკვალიფიციური კადრები, უმეტესწილად, პოლიციის ორგანოებიდან და სამოქალაქო სექტორიდან.

საქართველოს ციხეებში დღესაც არ არის აღმოფხვრილი და ფართოდ გავრცელებულია ადამიანის უფლებების სხვადასხვა სახის დარღვევის ფაქტები, ჰიგიენის არარსებობა, კვების პროდუქტების ნაკლებობა და არასათანადო სამედიცინო მომსახურება, ინფექციურ დაავადებათა საგრძნობი მატება პროცენტულად, არაადამიანური მოპყრობა, ძალადობა, კორუფცია.

– ეს პრობლემები ხომ ძირითადად აღმოიფხვრა?

– ვიღაცას ჰგონია, რომ აღმოიფხვრა, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი. არ ვაცხადებ, რომ მასობრივი სახისაა, არამედ ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის აღმოფხვრილი. თუ ვინმეს ჰგონია, რომ საკმარისი სამედიცინო მომსახურებაა, ძალიან ცდება.

– მიზეზი რა არის?

– რეფორმა არ ჩატარდა სათანადოდ. უმნიშვნელო დანაშაულის გამო ხშირად გამოიყენება დაპატიმრება და ალტერნატიული ზომები არ მიიღება. ეს იმის ბრალია, რომ სისხლის სამართლის სისტემაში რეფორმა წესიერად არ არის ჩატარებული, დაპატიმრება ხდება პროკურატურის შუამდგომლობით, ზოგჯერ ზეწოლითაც. სისხლის სამართლის სისტემა მოყვანილი უნდა იყოს ცივილიზებულ ქვეყნებში არსებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში. საჭიროა ახალი პროგრამის შემუშავება და მისი ელემენტების განსაზღვრა.

– ციხეებში პატიმართა კვების ნორმალიზაციას რეფორმა რატომ სჭირდება?

– კვებას რეფორმა კი არ სჭირდება, სტანდარტია და ის უნდა მიეწოდოს. დადგენილია კვების ნორმა და კალორიულობა. იმ ფირმის წარმომადგენლები, რომლებიც ჰყავდათ დაქირავებული ციხეების საკვებით უზრუნველყოფისა და საჭმლის მოსამზადებლად, ნახევარს არ ყრიდნენ ქვაბში (ამბობენ, ის ფირმა ახლა შეცვალესო).

– ქუთაისის ციხეში პატიმარმა ხელები მიიჭედა, სხვაგან გადაყვანასა და სამუშაოს მოითხოვდა. რა აიძულებს პატიმარს, ასეთ უკიდურეს ზომას მიმართოს, ან რა პრობლემაა პატიმრის ერთი ადგილიდან მეორეში გადაყვანა?

– ასეთ პატიმარს პრობლემა აქვს შექმნილი. ან მისი მტერი ზის საკანში, ან თანამშრომლები ეპყრობიან ცუდად, თავის უფლებამოსილებას ამეტებენ და განიცდის წამებას.



– ბათუმის ციხეში მყოფი პატიმარი წერდა, რომ პრობლემა ჰქონდა ციხის თანამშრომლებთან თუ ხელმძღვანელობასთან.

– როდესაც პატიმარი საქვეყნოდ აცხადებს, რომ თანამშრომლები ცუდად ეპყრობიან და სამინისტრო წაუყრუებს, ეს დიდი უბედურებაა. მინისტრი ამბობს, მეც გავიგე, გავერკვევი და მოგახსენებთ, არა მგონია, ასეთ რამეს ადგილი ჰქონდესო. სინამდვილეში მსგავს ფაქტებს ადგილი აქვს, ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა ასეთი მომენტები ჩვენს ციხეებში.

– ყველა კადრი, ვინც მიდის სასჯელაღსრულების მინისტრად, ერთნაირად აზროვნებს?

– ყველა ერთნაირად არ აზროვნებს. სუბარი და მისი წინამორბედი ტუღუში პრიმიტიულად მართავდნენ. იცოდნენ, რომ უფროსები იყვნენ და მეტი არაფერი. მღებრიშვილ-კახიშვილის გუნდმა ერთი რამ გააკეთა კარგი (რასაც მივესალმები) – თეორიულად ჩამოაყალიბეს ის სტანდარტები, რომლებიც უნდა იყოს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.

მნიშვნელოვანია, რამდენად არის ბაზა და კადრები მომზადებული და რამდენად ხორციელდება ეს სტანდარტები.

– ვერ ხორციელდება?

– თქვენ რომ წაიკითხოთ კახიშვილის მიერ გამოცემული ბრძანება სასჯელაღსრულების დაწესებულებებისა და მათი უფლება-მოვალეობების შესახებ, იქ მხოლოდ პატიმრების მოვალეობებზეა საუბარი, უფლებები არ აქვთ. ბრძანებაში წერია, დღის განმავლობაში რა ღონისძიება უნდა გატარდეს, მაგრამ ტარდება?

ჯერ კიდევ ქურდული სამყაროს წევრების აქტიურობა შეინიშნება თითქმის ყველგან, ყველა დაწესებულებაში. „ობშიაკის“ მიღება სხვადასხვა სახით ხდება, არის ნატურის სახითაც. ეს არ არის აღმოფხვრილი. ამას დრო სჭირდება, მაგრამ არავითარი სამუშაო არ ტარდება.

– მკურნალობის მხრივ ყველაფერი ხომ გამოსწორდა?

– როცა მოვიდნენ, ყველაფერი, რაც იყო – ცოცხი, დუბინკა მოისპო. იყო კვება და მკურნალობა, მაგრამ საჭირო მედიკამენტები არ არის საკმარისი. ხანდახან კაცს თავი სტკივა, თავს კედელს უბრახუნებს და ციტრამონი არ აქვთ, რომ მისცენ.

ილია II-მ მართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურებს სიტყვით მიმართა

„სამი თემის („ერთიანი კალენდრის შესახებ,“ „ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოების“ და „მართლმადიდებელი ეკლესიის მისია თანამედროვე მსოფლიოში“) წარმოდგენილი სახით წმინდა და დიდ კრებაზე გატანა მიუღებლად მიგვაჩნია“. ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ჟენევაში, შამბეზში მართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურების შეხვედრაზე განაცხადა. უწმინდესმა მართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურებს შეხვედრაზე სიტყვით მიმართა.

შვეიცარიაში, შამბეზში მართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურების შეხვედრა 22-27 იანვარს იმართება. პატრიარქის მიმართვის ტექსტის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საპატრიარქოსთვის უმნიშვნელოვანესია დიპტიქის (ეკლესიათა რიგითობა) საბოლოოდ განსაზღვრა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ამჯერად თავს იკავებს, აღნიშნული საკითხის განხილვა წმინდა კრებაზე კატეგორიულად დააყენოს. ამასთან, იმედს გამოთქვამს, რომ ახლო მომავალში ეს პრობლემა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის დადებითად გადაწყდება.

პატრიარქის მიმართვის ტექსტს საქართველოს საპატრიარქო ავრცელებს, რომელსაც „ინტერპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ.

– თქვენო ყოვლადწმინდესობავ, მსოფლიო პატრიარქო ბართლომე, მართლმადიდებელ ეკლესიათა უწმიდესნო და უნეტარესნო მწყემსმთავარნო, მეუფენო, მამანო და ძმანო, გულითადად მოგესალმებით საქართველოს ეკლესიის და პირადად ჩემი სახელით.

თითქმის ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც კონსტანტინეპოლში შევიკრიბეთ და დავსახეთ ძირითადი მიმართულებები წმინდა და დიდი კრების ჩასატარებლად. მაშინ გადაწყდა მთავარი პრინციპიც ჩვენი მუშაობისა, რომ როგორც კრების წინარე შეხვედრები, ისე თვით კრება კონსენსუსის პრინციპით უნდა წარმართულიყო, რაც გულისხმობს ყველა მართლმადიდებელი ეკლესიის მონაწილეობას კრებაზე და ყველას თანხმობას ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით.

მაშინაც აღვნიშნეთ და კვლავ გავიმეორებთ, რომ წმინდა და დიდი კრება, რომლისთვისაც ჩვენ ყველანი ვემზადებით, განსხვავებულია ადრე ჩატარებული მსოფლიო კრებებისგან იმით, რომ ჩვენ არ განვიხილავთ დოგმატურ საკითხებს და არ ვემიჯნებით ამა თუ იმ სწავლებას, არამედ გვსურს მსოფლიოს წინაშე მართლმადიდებელი ეკლესიის ერთობის წარმოჩენა და ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხზე საკრებო ერთსულოვანი გადაწყვეტილების მიღება.

რადგან კრების მთავარი მიზანი ჩვენი ერთობის გამოხატვაა, ბუნებრივია, რომ მხოლოდ ის თემები უნდა იქნას განხილული, რომელთა შესახებ ყველა ეკლესიამ დადებითი პოზიცია დააფიქსირა.

ეს არის ერთადერთი სწორი მიდგომა.

თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, კარგად გვესმის, რომ კრების მომზადებასთან დაკავშირებული ძირითადი ტვირთი თქვენ გაწევთ, მაგრამ არსებითი საკითხების გადაწყვეტისას ადგილობრივი ეკლესიების პოზიციების გაუთვალისწინებლობა დაუშვებელია.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საპატრიარქოსთვის უმნიშვნელოვანესია დიპტიქის (ეკლესიათა რიგითობა) საბოლოოდ განსაზღვრა, ძმობის და თანამშრომლობის სულისკვეთებით განმსჭვალულები, ჩვენ ამჯერად თავს ვიკავებთ აღნიშნული თემის კრებაზე განხილვის კატეგორიულად დაყენებისგან, რითაც კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ჩვენს კონსტრუქციულობას და გვჯერა, რომ ახლო მომავალში ეს პრობლემა ჩვენთვის დადებითად გადაწყდება.

მაგრამ ვერაფრით დავეთანხმებით იმ აზრს, რომ ბოლო დროის შეხვედრებზე, როგორც ჩვენი, ისე სხვა ეკლესიების მიერ უარყოფილი თემები წმინდა და დიდ კრებაზე 30 წელზე მეტი ხნის წინ მიღებული სახით გავიდეს.

უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ 1998 წლის 8 ოქტომბრის საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის სხდომამ მიუღებლად მიიჩნია წმინდა და დიდი კრების იმდროინდელი წინამოსამზადებელი შეხვედრების რიგი დადგენილებები (მათ შორის ქორწინების და კალენდრის საკითხიც).

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მსგავსი ქმედებები განხორციელდა სხვა ეკლესიებშიც. წმინდა და დიდი კრების წინამოსამზადებელი კომისიის მუშაობის შედეგებს ჩვენი ეკლესიის წმინდა სინოდი რეგულარულად ეცნობოდა, თუმცა, ვიცავდით დოკუმენტების არ გასაჯაროების შეთანხმებას; რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენც ვეთანხმებოდით ამ პოზიციას.

პირიქით, ყოველთვის ვიყავით და ვართ მომხრე იმისა, რომ შეთანხმებული საკითხები უნდა გასაჯაროვდეს, ამით ეკლესიებსაც და კრებასაც დავიცავთ გავრცელებული უსაფუძვლო ეჭვებისა და ბრალდებებისგან.

რაც შეეხება ეკლესიებისთვის კრების შედეგების სავალდებულოობას, მიგვაჩნია, რომ დიდმა და წმინდა კრებამ, როგორი გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღოს, თუ იგი ეკლესიის სისავსემაც არ აღიარა, ეს დადგენილებები არა თუ სავალდებულო და მისაღები გახდება ეკლესიებისთვის, არამედ იქცევა დაბრკოლების მიზეზად და შეიძლება განხეთქილებამდე მიგვიყვანოს. მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია ამის არაერთ მაგალითს იცნობს.

ჩვენ ვცხოვრობთ 2000-წლოვანი განუყოფელი ეკლესიის ტრადიციით. ამ წიაღმა მსოფლიოს მისცა ათასობით წმინდანი. მათ მიერ განჩინებული და აღიარებული წესების შეცვლა ძალიან საშიშია. გავიმეორებ იმ აზრსაც, რომ ვინაიდან, დიდი და წმინდა კრების გადაწყვეტილებები არ ეხება სწავლებით-სამოძღვრო (დოგმატურ) საკითხებს, მისი დადგენილებები ადგილობრივი ეკლესიებისთვის სავალდებულო შეიძლება გახდეს მხოლოდ კონსენსუსის წესით ყველას მიერ მათი მიღების შემთხვევაში.

უწმინდესნო და უნეტარესნო მწყემსმთავარნო, ყოვლადუსამღვდელოესნო მეუფენო და მართლმადიდებელი ეკლესიების წარმომადგენელნო, საქართველოს ეკლესიის მხრიდან ორი წერილი დაგეგზავნათ (ჩემი და მიტროპოლიტ გერასიმეს სახელით), სადაც დაფიქსირებული იყო ის აზრები, რომელიც აგრეთვე წარმოადგენს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის პოზიციას.

საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის (როგორც ადრე ჩატარებულის, ისე ბოლოდროინდელთა) გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე, კვლავ ვაცხადებთ, რომ სამი თემის („ერთიანი კალენდრის შესახებ“, „ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოების“ და „მართლმადიდებელი ეკლესიის მისია თანამედროვე მსოფლიოში“) წარმოდგენილი სახით წმინდა და დიდ კრებაზე გატანა მიუღებლად მიგვაჩნია.

მაგრამ, თუ იქნება მოთხოვნა იმისა, რომ აღნიშნული საკითხები კრების დღის წესრიგში აუცილებლად უნდა შევიდეს, მაშინ წმინდა და დიდი კრება უნდა გადაიდოს, ვიდრე მათთან დაკავშირებით საერთო შეთანხმება არ მიიღწევა. შევნიშნავთ იმასაც, რომ წმინდა და დიდ კრებაზე არ შეიძლება, უკვე შეჯერებული თემების გარდა, რომელიმე სხვა საკითხის შემოთავაზება განსახილველად. ეს პრინციპულად მიუღებელია. წმინდა და დიდ კრებას უნდა ესწრებოდნენ მართლმადიდებელი სამღვდელოების, ბერმონაზვნების, ღვთისმეტყველების წარმომადგენლები, რაც იყო მსოფლიო კრებების ტრადიცია.

ბოლოს აღვნიშნავთ იმასაც, რომ შამბეზის ამჟამინდელი გადაწყვეტილებებიც გატანილი იქნება საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის სხდომაზე. განვლილია დიდი გზა, გაწეულია დიდი შრომა, მაგრამ, როგორც კრების წინა შეხვედრებმა აჩვენა ერთსულოვნების მისაღწევად კვლავაც მოგვიწევს მუშაობა. ჩვენ ყველანი აქ შევიკრიბეთ, რათა ვმოწმოთ ჭეშმარიტი.

დაე, იყოს ეს შეხვედრაც და წმინდა დიდი კრებაც გაცხადება ყოვლადწმინდა სამების ნებისა და ჩვენზეც აღსრულდეს მოციქულის სიტყვები: „გიხაროდეთ, ძმანო, განმტკიცდით, ნუგეშცემულნი იყავით და ერთსულოვანნი, მშვიდობა გქონდეთ; და ღმერთი სიყვარულისა და მშვიდობისა იყოს თქვენთან“ (II კორინ.13.11), ამინ!“, – ნათქვამია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის მიმართვის ტექსტში.

ამასთან, საქართველოს საპატრიარქოდან „ინტერპრესნიუსს“ აცნობეს, რომ ყველა ეკლესიის დელეგაციის რამდენიმე დღის დაუღალავი საქმიანობის შედეგად ამ ეტაპისთვის წმინდა და დიდი კრების დღის წესრიგში რამდენიმე ცვლილება განხორციელდა. კერძოდ, საკითხი „ერთიანი კალენდრის“ შესახებ აღარ განიხილება. ამოღებულია ავტოკეფალიის და დიპტიქის თემაც; ჩასწორდა ტექსტი „მართლმადიდებელი ეკლესიის მისია მსოფლიოში“;

წმინდა და დიდ კრებაზე არ იქნება გატანილი ისეთი საკითხი, რომელიც წინამოსამზადებელ შეხვედრებზე არ იყო განხილული და შეთანხმებულ; ნება დაირთო ყველასთან შეჯერებული საკითხები გასაჯაროვდეს; სხვა ეკლესიებთან მიმართებაში წმინდა და დიდი კრების გადაწყვეტილებების სავალდებულო ხასიათი კრების ყველა წევრისთვის გადაწყვეტილებების საყოველთაო მართლმადიდებლური ავტორიტეტით შეიცვალა. „მიმდინარეობს სხვა თემებზეც მუშაობა და წმინდა და დიდ კრებასთან დაკავშირებული რეგლამენტის (პროტოკოლური საკითხების) განსაზღვრა“, – აცხადებენ საქართველოს საპატრიარქოში.

ინტერპრესნიუსი

ობამა: „ჰილარი ფავორიტია“

აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ განაცხადა, რომ მიმდინარე არჩევნების ფავორიტი უდავოდ ჰილარი კლინტონია. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ჰილარის დიდი ხანია იცნობს. ოდესღაც დემოკრატიული პარტიის პრაიმერიზში მისის კლინტონი მისი კონკურენტი იყო. შემდეგ ისინი ერთად მუშაობდნენ, როცა ჰილარის სახელმწიფო მდივნის პოსტი ეკავა.

– ის საოცარი ინტელექტისა და ნებისყოფის ადამიანია, – ასე დაახასიათა მან ჰილარი კლინტონი.

ამავე დროს, მან ჰილარი კლინტონის სუსტ მხარეებზეც ისაუბრა. მიუხედავად იმისა, რომ ქალი დღეს მთელ აშშ-ში უდიდესი მხარდაჭერით სარგებლობს, მას საზოგადოება კარგად იცნობს. ეს კი კარგიც არის და ცუდიც

– ხალხს მუდამ რაღაც ახალი სურს, ქალბატონ კლინტონზე კი ამას ვერ იტყვი, – ამბობს ობამა.

დემოკრატიული პარტიის მეორე კანდიდატი ბარნი სანდერსი ობამამ დაახასიათა, როგორც უაღრესად მშრომელი, ინტელიგენტი და ინტელექტუალური ადამიანი, თუმცა სანდერსს გამარჯვების მცირე შანსები გააჩნია.

– ეს გარკვეულწილად მას უპირატესობასაც აძლევს. სანდერსს შეუძლია, რაც სურს, ის ილაპარაკოს, მაშინ როცა მისის კლინტონმა თითოეული სიტყვა უნდა აწონ-დაწონოს, – აცხადებს ობამა.

სირია: მოლაპარაკებები პარასკევს დაიწყება

გაეროს სპეციალურმა წარმომადგენელმა შტეფან დე მოსტურამ განაცხადა, რომ მოლაპარაკებები სირიის კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებით პარასკევს დაიწყება.

მოსტურას ცნობით, უკვე სამშაბათს გაეგზავნება მოსაწვევი ყველას, ვინც მოლაპარაკებებზეა მოწვეული, თუმცა მათი ვინაობა არ დააკონკრეტა.

თავის მხრივ, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ ქერიმ განაცხადა, რომ შეფერხებები გამოწვეულია აზრთა სხვადასხვაობის გამო, რაც რუსეთ-აშშ-ს შორის არსებობს. უწინარეს ყოვლისა, ეს იმ პოლიტიკოსების სიას შეეხება, რომლებიც მოლაპარაკებებში მონაწილეობას მიღებენ.

– სჯობს, რამდენიმე დღე მოვიცადოთ და სასურველ შედეგს მივაღწიოთ, ვიდრე ავჩქარდეთ, მაგრამ პოზიციები დავთმოთ, – თქვა ქერიმ.

პუტინი სტალინს იცავს და ლენინს აგინებს

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა კვლავ განაცხადა, რომ ვლადიმერ ლენინმა უდიდესი შეცდომა დაუშვა, როცა საბჭოთა კავშირის ეროვნული ნიშნით შექმნაზე თანხმობა განაცხადა, ხოლო რესპუბლიკებს სსრკ-დან გასვლის უფლება მისცა.

პუტინი თვლის, რომ ლენინმა ორი უდიდესი ცოდვა ჩაიდინა: პირველი მეფის ოჯახის დახვრეტა იყო, მეორე – საბჭოთა კავშირის ეროვნული ნიშნის მიხედვით შექმნა და რესპუბლიკებისთვის კავშირიდან გასვლის უფლების მიცემა.

– თებერვლის რევოლუციის შედეგად რუსეთში დაიწყო ქაოსი, მოიშალა სახელმწიფო ინსტიტუტები. ოქტომბრის რევოლუციას უბრალოდ ოქტომბრის გადატრიალებას დავარქმევდი, რომელიც გერმანული დაზვერვის უშუალო ხელმძღვანელობით განხორციელდა, – თქვა პუტინმა.

ამავე დროს, რუსეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ბოლშევიკებს შორისაც იყვნენ ადამიანები, რომლებიც „სახელმწიფოებრივად აზროვნებდნენ“ და რუსეთის ინტერესებს იცავდნენ. მაგალითისთვის პუტინმა იოსებ სტალინი დაასახელა.

– სტალინი სსრკ-ის ეროვნული ნიშნით შექმნის წინააღმდეგი იყო, რადგან ესმოდა, რომ ეს ნელი მოქმედების ნაღმი იყო, რომელიც ადრე თუ გვიან აფეთქდებოდა. სწორედ სტალინის ინიციატივით შეიქმნა დონეცკ-კრივოი-როგის რესპუბლიკა და ეს სწორი ნაბიჯი იყო. ამას უნდა მოჰყოლოდა შავიზღვისპირეთის რესპუბლიკა, მებამბეთა რესპუბლიკა და ა.შ. ანუ ეროვნული ნიშანი უკანა პლანზე უნდა გადაწეულიყო. რესპუბლიკებსაც კავშირიდან გასვლის უფლება არ უნდა ჰქონდათ. სამწუხაროდ, ეს ვერ მოხერხდა, – თქვა პუტინმა.

მან ასევე განაცხადა, რომ დონბასის უკრაინისთვის გადაცემა, რაც 1920 წელს განხორციელდა, აბსოლუტურად უკანონო აქტს წარმოადგენდა. უკრაინელები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გააფთრებით იბრძოდნენ და ამისი გამო სამაგალითოდ უნდა დასჯილიყვნენ. ლენინმა კი, ოღონდაც დამშვიდდითო, დონბასიც გადასცა და უკრაინიზაციაზეც თანხმობა განაცხადა.

– შედეგებს დღეს ყველანი ვიმკით, – თქვა რუსეთის პრეზიდენტმა.

მისი თქმით, სტალინი, ლენინისგან განსხვავებით, დიდი რუსი მოღვაწე იყო.

– ფაქტია, რომ მან კავის რუსეთი ჩაიბარა და ატომის რუსეთი დატოვა! – ამბობს ღრმად პატივცემული პუტინი.

ამერიკელები რუსეთის პრეზიდენტს კორუფციაში ადანაშაულებენ

აშშ-ის ფინანსთა მინისტრის მოადგილე ადამ ჟუბინმა ვლადიმერ პუტინი კორუფციაში დაადანაშაულა.

– ჩვენ კარგა ხანია ვხედავდით, თუ როგორ მდიდრდებოდნენ პუტინი და მისი გარემოცვა, – თქვა ჟუბინმა.

ამერიკელები პუტინის გარემოცვის კორუმპირებულობაზე კარგა ხანია საუბრობდნენ, თუმცა თავად რუსეთის პრეზიდენტი საჯაროდ კორუფციაში პირველად იქნა დადანაშაულებული.

მოლდოვის პრემიერი გადადგომაზე უარს აცხადებს

მოლდოვის ახალმა პრემიერმა პავლე ფილიპმა გადადგომაზე უარი განაცხადა. მიუხედავად კიშინიოვში გამართული აქციებისა, ის თანამდებობაზე დარჩენას აპირებს.

– აქციებში მხოლოდ 15.000 მოქალაქე მონაწილეობს, პარლამენტი კი, რომელმაც მე პრემიერად ამირჩია, მოლდოვის მილიონ-ნახევარი მოსახლეობის ინტერესებს გამოხატავს, – აცხადებს ფილიპი.

პრემიერმა ოპოზიციის ულტიმატუმზეც კომენტარი გააკეთა. როგორც ცნობილია, თუკი ფილიპი არ გადადგება და ვადამდელი არჩევნები არ დაინიშნება, ოპოზიციონერები ტრასების გადაკეტვით იმუქრებიან,

– ტრასების გადაკეტვა უკანონო აქციაა და ამას შესაბამისი რეაგირება მოჰყვება! თუკი ოპოზიცია ზღვარს გადავიდა და ძალადობა დაიწყო, ჩვენგან ადეკვატურ პასუხს მიიღებს, – თქვა ფილიპმა.

რუსეთი თურქეთის წინააღმდეგ სანქციებს აძლიერებს

რუსეთი თურქეთის წინააღმდეგ სანქციებს გააფართოებს. ამიერიდან შეზღუდვა იმ თურქულ ფირმებზეც გავრცელდება, რომლებიც რუსეთში სამშენებლო ბიზნესს ეწევიან.

ამის თაობაზე რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა.

– ჩვენს ეკონომიკაზე ეს მხოლოდ დადებითად იმოქმედებს და ახალი სამუშაო ადგილები გამოჩნდება, – თქვა პუტინმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სერტიფიცირებული კოსმეტოლოგი მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ტიტანის სამკურნალო მაგნიტური სამაჯური

სამაჯური ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და გამაჯანსაღებელი თვისებებით.ჩატარებული მეცნიერული კვლევების შემდეგ 2005 წელს ევროპამ და 2006 წელს ამერიკამ აღიარეს, როგორც 21 საუკუნის პროდუქტი. ჩვენება არეგულირებს არტერიულ წნევას. ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა ხერხემლისა და თავის ტკივილს. აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას. ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში. აძლიერებს ნაწლავურ ფლორას, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ამაღლებს ტონუსს, აქვს ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედება, გვარდება ნევროზები, გამოაქვს ორგანიზმიდან „შლაკები“, მარილები, წამლისგან დარჩენილი ნივთიერებები, მისი ყოველდღიური მოხმარება არეგულირებს მეტაბოლიზმს (ნივთერებათა ცვლა). გაჯანსაღების გზით ხდება წონის კორექცია, გვარდება ნევროზები, პოტენცია, ადამიანი ხდება ენერგიული, ეხსნება ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება და ა.შ.

ის იწყებს ძიებას ორგანიზმში რა არის დაზიანებული, თვითონ აგნებს და ზუსტად იქიდან იწყებს მოგვარებას. მას აგრეთვე უწოდებენ „მაგიურ სამაჯურს“

დაახლოებით 10 წუთში თქვენ ნათლად გრძნობს სითბოს ან ჩხვლეტას მაჯაზე. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი, გრძნობს რამდენიმე საათის ან 2-3 დღის შემდეგ. რამდენიმე დღეში იგრძნობთ რომ შეგიმსუბუქდათ ტკივილები, რომელიც წლების განმვლობაში გაწუხებდათ. სამაჯურის მუდმივად მოხმარების შემდეგ კი უკვალოდ ქრება. ტიტანის სამაჯურის მოხმარების შემდეგ პაციენტს აღარ სჭირდება ზედმეტი წამლები.

შემადგენლობა ტიტანის სამაჯაურში ჩასმულია სამედიცინო მაგნიტი. (ნეოდიმი). ნეოდიმი მაგნიტებს შორის არის ყველაზე ძლიერი მუდმივი მაგნიტი.

არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, მწარმოებელი ქვეყანა გერმანია. მიწოდება შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბინაზე. ფასი 50 ლარი.

მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79. ტელ: 2 182 186.
შეკვეთები მიიღება ნომერზე: 579 885 996.

განცხადებები

მკურნალობა

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვანკისტოზურიც!); „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ხვრინვა, გრიპის პროფილაქტიკა; „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები!), პოლიკისტოზი, ფიბრომა, უნაყოფობა; „პლანტა-7“ – წყლული, ჰეპატიტი, პროსტატიტი, ადენომა, პოტენცია. ზემოთ აღნიშნულ სერთიფიცირებულ სიროფებს გააჩნიათ ანტისიმსივნური თვისებები! ტელ: 558-59-59-82.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის განმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის განმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● ქირავდება 3 ოთახიანი ბინა ცოტნე დადიანზე, მიშენებით, ევრორემონტით, ავეჯით, ტექნიკით, გარაჟით, სათავსოებით. ფასი 300. ტელ.599512607. 577779704.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო განმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასოა!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

დავა რაგბის კავშირში

გუშინ ინტერნეტსივრცეში გამოჩნდა აუდიოჩანაწერი, სადაც რაგბის კავშირის ყოფილი პრეზიდენტის გია ნიჟარაძისა და რაგბის კავშირის პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატის ირაკლი აბუსერიძის საუბარია.

ფიგურანტები საუბრობენ 2.750.000 ლარის 15 პროცენტის არამიზნობრივ ხარჯვაზე. ეს აუდიოჩანაწერი შემდეგ რამდენიმე ტელევიზიამ გაავრცელა, ხოლო ინტერნეტსივრცეში მცირე ხნის შემდეგ წაშალეს.

აბუსერიძე აუდიტის ჩატარების მომხრეა. მის პოზიციას იზიარებს გია ნიჟარაძეც, რომელიც აუდიოჩანაწერს ფაბრიკაციას უწოდებს.

გავრცელებული ინფორმაციით, ეს საუბარი ჯერ კიდევ დეკემბერში უნდა შემდგარიყო, რადგან მას შემდეგ ნიჟარაძე და აბუსერიძე მსგავს თემებზე სასაუბროდ ერთმანეთს არ შეხვედრიან.

კალათბურთელ გოგონათა ნაკრების შერჩევა დაიწყო

საქართველოს 16 და 18 წლამდე გოგონათა ნაკრებები მომავალ ზაფხულს ევროპის ჩემპიონატის ც დივიზიონში იასპარეზებენ. 18-წლამდელთა ტურნირს კი სულაც თბილისი უმასპინძლებს. ქართული კალათბურთის ისტორიაში პირველად ხდება, რომ ფიბა-ევროპის ღონისძიების მასპინძელი საქართველო იქნება.

ევროპის ჩემპიონატის ც დივიზიონის მატჩები თბილისში 8-13 ივლისს გაიმართება და მასში მონაწილეობა მიიღებენ:

ა ჯგუფი: სომხეთი, ანდორა, უელსი

ბ ჯგუფი: საქართველო, მალტა, გიბრალტარი, კოსოვო

რაც შეეხება საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებს, ევროპის ჩემპიონატის ც დივიზიონის მატჩებს 18-23 ივლისს ანდორის დედაქალაქი უმასპინძლებს. ჯგუფები შემდეგნაირად დაწყვილდა:

ა ჯგუფი: უელსი, კოსოვო, მალტა

ბ ჯგუფი: ანდორა, გიბრალტარი, საქართველო

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ქალთა კალათბურთის განყოფილებამ უკვე დაიწყო ნაკრებებისთვის კანდიდატთა შერჩევა. აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებიდან დინამოს საწვრთნელ ბაზაზე კანდიდატთა შერჩევის 2 ეტაპი ჩატარდა. საკალათბურთო კემპს ფედერაციაში ქალთა კალათბურთის განყოფილების ხელმძღვანელი, ცნობილი ვეტერანი კალათბურთელი მედეა მხეიძე უძღვებოდა. პირველი ეტაპი 15-17 იანვარს ჩატარდა, ხოლო მეორე – 23-24 იანვარს.

საკალათბურთო კემპში მონაწილეობა 120-მდე გოგონამ მიიღო. მონაწილეები შემდეგი ქალაქებიდან იყვნენ: ახმეტა, თელავი, ხაშური, გორი, რუსთავი და თბილისი. 2 ეტაპის შედეგად 80-მდე გოგონა შეირჩა, რომლებსაც დასავლეთის წარმომადგენლებიც დაემატებიან და 5-7 თებერვალს გაიმართება კანდიდატთა მესამე შესარჩევი კემპი. ამის შემდეგ თითოეულ ასაკში საბოლოოდ აირჩევა 20-22 კანდიდატი, რომელთაგან დაკომპლექტდება საქართველოს 16 და 18 წლამდელთა ნაკრებები.

თბილისის დინამოს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს

დინამო თბილისს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს – საქართველოს ყველაზე ტიტულოვან კლუბს 53 წლის სლოვაკი სპეციალისტი იურაი იარაბეკი გაწვრთნის.

იარაბეკი 2013-15 წლებში სლოვაკურ ტრნავის სპარტას წვრთნიდა. მანამდე იარაბეკს ზლატე მორავცესა (2009-2013) და სლოვაკურ კლუბს ბლავაში (2008) უმუშავია.

გასული სეზონი მისი ხელმძღვანელობით სპარტამ სლოვაკეთის ჩემპიონატში მე-3 პოზიციაზე დაასრულა.

დინამო თბილისი ახალ მთავარ მწვრთნელს დღეს ბორის პაიჭაძის სახელობის დინამო არენას საპრესკონფერენციო დარბაზში წარადგენს.

დინამოს პრეზიდენტ რომან ფიფიას თქმით, პრესკონფერენციაზე იურაი იარაბეკთან ერთად ყოფილი მწვრთნელი გია გეგუჩაძეც იქნება, რომელიც ჟურნალისტების კითხვებს უპასუხებს.

რომან ფიფია:

– დაახლოებით ორი კვირის წინ ფეხბურთის ფედერაციამ მოგვმართა წინადადებით, რომ გია გეგუჩაძეს გაეწვრთნა 21 წლამდე ნაკრები. ეს ინფორმაცია არ გავავრცელეთ, რადგან გუნდი მზადების პროცესშია და მნიშვნელოვანი იყო, შეგვერჩია ახალი მთავარი მწვრთნელი.

ფიფას პრეზიდენტობის კანდიდატები დაამტკიცეს

ფიფას ახალი პრეზიდენტის არჩევნები 26 თებერვალს გაიმართება და ციურიხში ჩატარდება. გუშინ კი ფიფას საარჩევნო კომიტეტმა პრეზიდენტობის 5 კანდიდატი ოფიციალურად დაამტკიცა.

ფიფას პრეზიდენტობისთვის იბრძოლებენ:

აზიის საფეხბურთო კონფედერაციის პრეზიდენტი სალმან იბრაჰიმ ალ-ჰალიფა, უეფას გენერალური მდივანი ჯანი ინფანტინო, იორდანიის პრინცი ალი ბინ ალ-ჰუსეინი, ფიფას გენერალური მდივნის მოადგილე ჟერომ შამპანი და სამხრეთ აფრიკის ბინათმშენებლობის ყოფილი მინისტრი ტოკიო საქსველე.

შეგახსენებთ, რომ არჩევნებში მონაწილეობის სურვილი ჰქონდათ ფიფას ყოფილ პრეზიდენტ ზეპ ბლატერსა და უეფას ყოფილ პრეზიდენტ მიშელ პლატინის, მაგრამ მათ ფიფას ეთიკის კომისიამ 8 წლით საფეხბურთო საქმიანობა აუკრძალა.

25 იანვარი
ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონშიპი

ბარნლი-დერბი 4:1

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ლევანტე-ლას პალმასი 3:2

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	20	15	3	2	52-16	48
2.ატლეტიკო	21	15	3	3	30-8	48
3.რეალი	21	13	5	3	58-20	44
4.ვილიარეალი	21	12	5	4	28-18	41
5.სელტა	21	10	4	7	32-33	34
6.ეიბარი	21	9	6	6	34-26	33
7.სევილია	21	9	6	6	28-22	33
8.ბილბაო	21	9	4	8	32-30	31
9.დეპორტივო	21	6	11	4	28-25	29
10.ხეტაფე	21	7	5	9	26-31	26
11.ვალენსია	21	5	10	6	26-22	25
12.მალაგა	21	6	6	9	16-19	24
13.ესპანიოლი	21	6	4	11	20-35	22
14.ბეტისი	21	5	7	9	14-29	22
15.სოსიედადი	21	5	6	10	24-33	21
16.გრანადა	21	5	5	11	24-43	20
17.რაიო	21	5	4	12	26-45	19
18.ლას პალმასი	21	4	6	11	21-33	18
19.ხიხონი	20	5	3	12	22-35	18
20.ლევანტე	21	4	5	12	20-38	17

იტალია. სერია ბ

ლივორნო-კომო 1:1

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

აიაჩო-ბრესტი 2:1

კლერმონი-ლე ავრი 2:1

ჰოკეი. პრიმერა ლიგა

ტონდელა-ბოავიშტა 1:2

შედეგები

საბერძნეთი. სუპერლიგა

ირაკლისი-პლატანიასი 0:0

თურქეთი. სუპერლიგა

ბასაკშეჰირი-ქაშიმფაშა 1:1

ჩოგბურთი

ავსტრალიის ღია პირველობა

ჯაჭვები

ფედერერი-ბერდიხი 7:6;6:2;6:4

ჯოკოვიჩი-ნიშიკორი 6:3;6:2;6:4

ქალები

ა.რადვანსკა-სუარეს ნავარო ... 6:1;6:3

ს.უილიამსი-შარაპოვა 6:4;6:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

„მემარცხენე ალიანსი“ მაღალპროცენტიანი სასესხო ვალდებულებების რეგულაციას ითხოვს

– კატეგორიულად მოვითხოვთ მაღალპროცენტიანი სასესხო ვალდებულებების რეგულაციას და გონივრული ზღვრული საპროცენტო განაკვეთის დაწესებას, – ამის შესახებ „მემარცხენე ალიანსის“ ოფისში პარტიის თავმჯდომარემ, კახა ძაგანიამ გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

კახა ძაგანია:

– კატასტროფულად გაძვირებული დოლარის კურსის ფონზე კიდევ უფრო უიმედოდ გამოიყურება ასიათასობით ჩვენი თანამოქალაქე, რომლებსაც მძიმე სოციალური პირობების გამო, კაბალურ პირობებში ბანკებისგან, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისგან და ონლაინ სესხებით უნამუსოდ მაღალგანაკვეთიან საკრედიტო-საპროცენტო მარყუჟში აქვთ თავი გაყოფილი.

ამ ორგანიზაციებიდან სესხის აღება პრაქტიკულად დაუბრკოლებლად და უპრობლემოდ არის შესაძლებელი, ხოლო ბანდიტურად გაასმაგებული პროცენტების გადაუხდელობის შემთხვევაში მსესხებელი მარტივად კარგავს ყველაფერს თავისას და მამაპაპეულსაც.

ამ ყაჩაღი ორგანიზაციების თავხედობა იქამდე მივიდა, რომ სესხის გარანტიად პენსიონერების გასაწყლებულ პენსიას იდებენ და შემდეგ ამ პენსიიდან წლიურ 35 პროცენტს ატოვებინებენ.

უფრო მძიმე მდგომარეობაა ონლაინსესხებზე, როდესაც ზოგიერთ შემთხვევაში წლიური საპროცენტო განაკვეთი 1.000 პროცენტს აღემატება.

პოლიტიკური პარტია „მემარცხენე ალიანსი“ მოვითხოვთ ხელისუფლებამ დააწესოს რეგულაციები საპროცენტო განაკვეთებზე საკანონმდებლო დონეზე, განსაზღვროს გონივრული ზღვრული საპროცენტო განაკვეთები, მონიტორინგი დაევალოს ეროვნულ ბანკს.

ამავე დროს, ჩვენ გვაინტერესებს აღნიშნულ ურთულეს პრობლემასთან დაკავშირებით რა მოსაზრებები გააჩნიათ ეროვნული ბანკის საბჭოს წევრებს.

მედიანიუსი

გივი თარგამაძე: „სამეგრელოში სახელმწიფო და ქურდული სამყარო თანამშრომლობენ“

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრის, გივი თარგამაძის განცხადებით, სამეგრელოში სახელმწიფო და ქურდული სამყარო თანამშრომლობენ და საქმეში აფხაზი კრიმინალებიც მონაწილეობენ.

როგორც მან პრესკონფერენციაზე აღნიშნა, ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლასთან ერთად ქურდული სამყაროს გამოღვიძება და გაძლიერება დაიწყო.

გივი თარგამაძე:

– ამჯერად საქმე სამეგრელოს ეხება. სისტემა აქაც იგივეა – მისი ძირითადი მოთამაშე რეგიონული ხელისუფლება, ამ შემთხვევაში სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის რწმუნებული ლევან შონია, კრიმინალური სამყაროს წარმომადგენელი ხვიჩა ცხაკაია და რეზო ლაზიშვილი (ზედმეტსახელად „ბუდოკი“) არიან.

ბოლო დრომდე ცენტრს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და მისი ტრადიციული სახე, სიმამრი თამაზ თამაზაშვილი წარმოადგენდნენ. თუმცა გარკვეული განსხვავებაც არსებობს.

ოკუპირებულ ტერიტორიასთან სიახლოვის გათვალისწინებით, სქემაში ოკუპირებული ტერიტორიებიცაა ჩართული და საქმეში აფხაზი კრიმინალებიც მონაწილეობენ, მათი წარმომადგენელია თემურ გვასალია, ხოლო შუამავალი „ტყის ძმების“ ყოფილი მეთაური დათო შენგელია.

დეპუტატის მტკიცებით, მათი თანამშრომლობის საგანი თხილის ბიზნესი და კონტრაბანდაა.

– ჯგუფმა თხილის გადამამუშავებელი ქარხნები საოკუპაციო ხაზის მიღმა, გალის რაიონში გახსნა და ჩასაბარებელი ფასის განსხვავებაზე თამაშით, სახელმწიფო ბიუჯეტის ავლით, მნიშვნელოვანი თანხა იშოვა.

გარდა ამისა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე განლაგებული რუსეთის ბაზებიდან სამეგრელოს რეგიონში კონტრაბანდული წესით კარაქი და რძის ნაწარმი გადმოაქვთ, ხოლო უკან თხილი და მინერალური წყალი მიაქვთ.

2015 წლის მაისში აფხაზი კრიმინალების მოთხოვნით, გალის რაიონში რეანიმობილი გაიგზავნა, რომელმაც თემურ გვასალია გადმოიყვანა. შეთანხმების თანახმად, გვასალიასთვის უნდა ემკურნალათ და თურქეთის ტერიტორიაზე გადაეყვანათ. ამისთვის მას ჯერ სხვა სახელსა და გვარზე ყალბი „აფხაზური პასპორტი“, ხოლო შემდეგ კი ნეიტრალური დოკუმენტი გამოუწერეს.

შუამავალი დათო შენგელია იყო, ხოლო უსაფრთხოებას საკუთარ თავზე სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიცია იღებდა. მათ ამ „მომსახურებისთვის“ 600.000 დოლარი აიღეს. როგორც ჩანს, თანხაც და ინფორმაციაც ვიწრო წრეში გავრცელდა. შედეგად, საქმეში ანტიტერორისტული ცენტრი ჩაერია და რეანიმობილი დააკავეს. როგორც ჩანს, საქართველოში კვლავაც აქტუალური გახდა შევარდნაძის ეპოქის დროინდელი ძალოვანი სტრუქტურების (უშიშროების სამსახური – შსს) ქიშპობა და დაპირისპირება.

მედიანიუსი

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

რა დაავადებას იწვევს ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციური მოშლილობა

რა არის ჰიპოთირეოზი? ამ დროს დაქვეითებულია ფარისებრი ჯირკვლის ფუნქცია. ჰიპოთირეოზს საფუძვლად უდევს თირეოიდული ჰორმონის, ძირითადად თიროქსინის, ნაკლებობა. იმისდა მიხედვით, თუ განვითარების რომელ პერიოდში ჩნდება პათოლოგია, არჩევენ თანდაყოლილ და შეძენილ ჰიპოთირეოზს. პათოლოგიური პროცესის კლინიკური გამოვლინება შეიძლება იყოს მსუბუქი, საშუალო და მძიმე.

ბავშვთა ასაკში, მოზრდილისაგან განსხვავებით, უფრო ხშირად გვხვდება პირველადი ჰიპოთირეოზი. ამ დროს გამომწვევი ფაქტორი, უშუალოდ ფარისებულ ჯირკვალს აზიანებს. მეორადი ჰიპოთირეოზი გვხვდება უპირატესად სქესობრივ მომწიფებამდე და სქესობრივ მომწიფების პერიოდში. მას საფუძვლად უდევს ფარისებრი ჯირკვლის რეგულატორის, ჰიპოთალამაურ ჰიპოფიზური სისტემის პათოლოგია. როგორც აღვნიშნეთ, ჰიპოთირეოზი შეიძლება იყოს თანდაყოლილი ან შეძენილი.

თანდაყოლილი ჰიპოთირეოზი, ანუ კრეტინიზმი შეიძლება გამოწვეული იყოს: 1. ემბრიოგენეზის დარღვევით, როდესაც ფარისებრი ჯირკვალი არ არსებობს ან განვითარების დეფექტია. 2. იოდის დეფიციტით ან საერთოდ არ არსებობით, რომელიც განაპირობებს ენდემურ კრეტინიზმს. ამ დროს ვითარდება ფარისებული ჯირკვლის ატროფია, ან ჩიყვი. 3. თანდაყოლილი ჩიყვით, რომელიც ვითარდება მუცლად ყოფნის პერიოდში, ნაყოფზე უარყოფითი ფაქტორების ზემოქმედების შედეგად.

შეძენილი ჰიპოთირეოზის მიზეზებია: 1. ფარისებრი ჯირკვლის პირველადი ატროფია, 2. დიენცეფალურ – ჰიპოფიზური სისტემის უკმარისობა, 3. ფარისებრი ჯირკვლის დაავადების გამო ოპერაციული ჩარევა და ამ ჯირკვლის სპეციფიური ფუნქციების მეტ ნაკლები მოშლა.

თანდაყოლილი ჰიპოთირეოზის კლინიკური სურათი ვლინდება პირველსავე თვეებში. ყურადღებას იპყრობს ბავშვის თავისებური ჰაბიტუსი – შესახედაობა, პასტოზურობა. ამ დროს ადგილი აქვს კანისა და კანქვეშა ქსოვილების შეშუპებას. შეშუპების მიუხედავად კანზე თითის დაჭერით ჩაღრმავება არ რჩება, რადგან შეშუპება არის მუცინოზური ანუ ლორწოვანი ხასიათის. ამიტომაცაა, რომ ამ დაავადებას მიქსედემასაც (ლორწოვანას შეშუპებას) უწოდებენ.

დაავადება იწყება თანდათანობით, ავადმყოფებს აღენიშნებათ მოდუნება, მძინარობა, გონებრივი შრომის უუნარობა, მეხსიერების და მადის დაქვეითება, უხალისობა, წონაში მომატება, გამომეტყველების შეცვლა (გაფერმკრთალება, სახის შებიჟვინება, თვალის ქუთუთოების შეშუპება), ხმის შეცვლა, ხმა უფრო დაბალი და ხრინწიანი ხდება. ავადმყოფს აღენიშნება მეტყველებისა და მოძრაობის ერთგვარი შებოჭილობა, ზოგჯერ ენის გადიდება, ტუჩების შემსხვილება, ნახევრად პირღიაობა, ხშირად გადმოვარდნილი ენა.

ავადმყოფის ობიექტური გამოკვლევის დროს აღინიშნება ფსიქიკური აგზნებულობისა და აქტივობის დაქვეითება – სახის ინდიფერენტული გამომეტყველება, მიმიკურ რეაქციის სიღარიბე, დუნე მოძრაობები, შეკითხვებზე პასუხის დაგვიანება. ხშირად აღინიშნება სმენის დაქვეითება, რაც შეეხება პერიფერიულ ნერვულ სისტემას – მყესთა რეფლექსები დაქვეითებულია.

კანი მოყვითალო ელფერისაა. ზოგჯერ სახის კანის მოყვითალო ფერმკრთალ ფონზე აღინიშნება ყვრიმალების შეწითლება, რაც თვალის ქუთუთოების შეშუპებას, თვალების ნაპრალების დაპატარავებას, სახის ერთგვარ შებიჟვინებას და უსიცოცხლო გამომეტყველებას აძლევს.

კანი მშრალია, გასქელებული და უხეშია. ხელის მტევნები – ცივი. ხშირად აღინიშნება ჰიპოთერმია – დაბალი ტემპერატურა. კანის გასქელება გამოწვეულია მათში მუკოპროტეინების (ერთგვარი ცილის) დაგროვებით, რასაც კანქვეშა და კუნთოვან ქსოვილში აქვს ხოლმე ადგილი.

აღინიშნება თმების შეთხელება, ფრჩხილების ადვილი მტვრევადობა და ნელი ზრდა. კუჭის მხრივ, ხშირად მჟავიანობა დაქვეითებულია, ავადმყოფს აქვს შეკრულობა და მეტეორიზმი.

ასეთ ავადმყოფებში ხშირია სხვადასხვა ხარისხის ანემია, მჟავიანობა დაქვეითებულია, ვითარდება გასტრიტი. დაავადების დროს, განსაკუთრებით ხანში შესულებში, გულის დაზიანება შეიძლება გამოწვეული იყოს, როგორც უშუალოდ მიქსედემური ცვლილებებით, ასევე ჰიპოთირეოზისათვის დამახასიათებელი ათეროსკლეროზული პროცესების ჭარბი განვითარებით.

ეს უკანასკნელი თავის მხრივ მიზეზია ათეროსკლეროზული კარდიოსკლეროზის, სტენიკარდიისა და ინფარქტის ხშირი განვითარებისა.მამაკაცებს ხშირად აღენიშნებათ პოტენციისა და სპერმატოგენეზის დაქვეითება. ქალებს კი, მენსტრუალური ციკლის სხვადასხვა ხასიათის დარღვევა, სტერილობის და მენოპაუზის ნაადრევი განვითარება. მეორადი მიქსედემის დროს ხშირად გვხვდება მენსტრუალური ციკლის შეწყვეტა, ხოლო პირველადის დროს, შეიძლება იყოს გაძლიერებული მენსტრუალური სისხლდენა,

ნივთიერებათა ცვლა, სისხლში ცილოვანი იოდის შემცველობა დაქვეითებულია, ასევე დაქვეითებულია ფარისებრი ჯირკვლის მიერ რადიოიოდიდის შთანთქმაც.

თუ ავადმყოფი მკურნალობის გარეშე დავტოვებთ, გამოხატული ჰიპოთირეოზი პროგრესირებს, რის გამოც ავადმყოფთა სიცოცხლის ხანგრძლივობა საგრძნობლად მცირდება. თვით ჰიპოთირეოზის პროგრესულობა იწვევს მძიმე ფორმის მიქსედემის ჩამოყალიბებას, რაც თავისთავად შესაძლებელია დამთავრდეს მიქსედემური კომის განვითარებით და ავადმყოფის დაღუპვით.

მიქსედემური კომის განვითარებას შეიძლება ხელი შეუწყოს სხვადასხვა სტრესულმა სიტუაციამ (სიცივე, ფსიქიკური ან ფიზიკური ტრამვა, ინფექცია და სხვა). ამ დროს ვითარდება ძლიერი ჰიპოთერმია – ტემპერატურის დაქვეითება.

ჰიპოტონია – წნევის დაქვეითება, ბრადიკარდია – მაჯისცემის შენელება, ცნობიერების დაბინდვა სრულ დაკარგვამდე და სხვა. ხშირად საქმე არ მიდის მიქსედემურ კომამდე და ავადმყოფები, ჩვეულებრივ, იღუპებიან გულ სისხლძარღვთა ან რომელიმე სნეულებისაგან.

მკურნალობა ძირითადად შენაცვლებითი ხასიათისაა და გამოიხატება ფარისებრი ჯირკვლის ექსტრაქტის (თირეოიდინის) ან ჰორმონების (თიროქსინის ან ტრიიოდთირონინის) ხმარებით. თუ მკურნალობის დაწყება ძალზე დაგვიანებული არ არის, თირეოიდინის დანიშვნა ჰიპოთირეოზის ყველა მოვლენის უკუგანვითარებას იწვევს. იგულისხმება, რომ, ამ დროს ორგანიზმში არაა განვითარებული ისეთი შეუბრუნებელი ცვლილებები (პირველ რიგში ცენტრალური ნერვული სისტემისა), როგორიც გვხვდება კრეტინიზმის დროს.

თირეოიდინსა და განსაკუთრებით თიროქსინს ახასიათებს ნელი, ხანგრძლივი მოქმედება და მკურნალობის პროცესში მისი დოზების მომატების აჩქარება საჭირო არ არის.

მკურნალობა მცირე დოზებით უნდა იყოს დაწყებული, განსაკუთრებით ხანში შესულებში, ათეროსკლეროზული ცვლილებების და სტენოკარდიული მოვლენების არსებობისას. ამ დროს თიროქსინის ჭარბმა დოზებმა შესაძლებელია მძიმე სტენოკარდიული შეტევა და ინფარქტის განვითარება გამოიწვიოს. მიქსედემის მკურნალობის შედეგად პირველ როგში უმჯობესდება ფსიქიკური მდგომარეობა, საერთო გუნება განწყობა, შემდგომში ცვლილებები თანდათანობით ვლინდება გულის, კანის და სხვა სისტემების მხრივ. ყველა სიმპტომის სრულ უკუგანვითარებას ჩვეულებრივ 1-2 თვე სჭირდება.

ჰიპოთირეოზისა და მისი გართულებების მკურნალობა სიმპტომატურია. უნდა გვახსოვდეს, რომ მიქსედემით დაავადებულნი მორფიუმსა და სხვა სედატურ საშუალებებს ცუდად იტანენ. მათი მცირე დოზები საკმარისია, რათა გამოიწვიონ ღრმა ლეთარგია.

მიქსედემური კომის დროს საჭიროა სასწრაფო ღონისძიებების მიღება, რადგან დაგვიანებულ შემთხვევაში ავადმყოფთა უმრავლესობა იღუპება. მკურნალობა ძირითადად ტრიიოდთიროდინითა და კორტიკოსტეროიდებით წარმოებს.

რა იწვევს ქეცს

თავის თმიანი ნაწილის სოკოვანი დაავადებები (მიკოზი) ვითარდება პათოგენური სოკოთი, რომელიც აზიანებს თავის კანს და თმიან საფარს. უფრო მეტად ავადდებიან ბავშვები და ახალგაზრდა ქალები.

თავის თმიანი ნაწილის ყველაზე გავრცელებული სოკოვანი დაავადებებია – ფავუსი, მიკოსპორია და ტრიქოფიტია.

ფავუსი (ქეცი) – არის კანის სოკოვანი დაავადება, რომლის დროსაც ყველაზე მეტად ზიანდება თავის თმიანი ნაწილი. მისი გამომწვევია თრიცჰოპჰ ტონ შცჰონლეინიი, რომელიც ბინადრობს ადამიანის თავის კანზე.

დასნებოვნება ხდება უშუალოდ დაავადებულთან კონტაქტით ან მისი ნივთების (სავარცხელი, ქუდი, თეთრეული) გამოყენებით. მისი გამომწვევი საკმაოდ მდგრადია. რამოდენიმე თვის განმავლობაში ის შეიძლება იყოს ავეჯზე, ხალიჩაზე, ისე, რომ არ დაკარგოს ვირულენტობა.

ფავუსის დროს თმა არის უსიცოცხლო, თითქოსდა დამტვერიანებული, წააგავს ძველ პარიკს, თმა არ იმტვრევა, ადვილად ცვივა.

მიკოსპორია – სოკოვანი დაავადებაა, რომელიც აზიანებს თავის კანს. ის იფარება მოთეთრო ქერცლით, დამახასიათებელია ქავილი. დაავადება უფრო ხშირად გვხვდება ბავშვებში.

დასნებოვნების წყაროა დაავადებული ადამიანი ან შინაური ცხოველი. მიკროსპორიის დროს თავის თმიან ნაწილზე გვხვდება ერთეული მრგვალი ფორმის აქერცლილი კერა, მკვეთრი საზღვრებით (ამით ის განსხვავდება ტრიქოფიტიისგან). დაზიანებულ კერებში თმა გადატეხილია თმის ძირიდან 5-7სმ-ზე.

ტრიქოფიტია – არის სოკოვანი დაავადება, რომელიც აზიანებს თავის კანს და თმიან საფარს. დასნებოვნება ხდება დაავადებულ ადამიანებთან, ძაღლებთან, კატებთან კონტაქტით. განარჩევენ ტრიქოფიტიის ზედაპირულ და ღრმა ფორმებს.

ზედაპირული ტრიქოფიტია – ყველაზე მეტად გვხვდება მოზარდებში, სქესობრივი მომწიფების პერიოდში. დამახასიათებელია პატარა მრგვალი ფორმის აქერცლილი კერები, რომელზედაც თმა არის მტვრევადი(სხვადასხვა სიგრძეზე) და ახლავს ქავილი.

ღრმა ტრიქოფიტიის დროს თავის კანზე გვხვდება მრგვალი, ანთებადი, მტკივნეული ინფილტრატი (ფოლიკულური აბსცესები), დამახასიათებელი უსიამოვნო სუნით, კერები მთლიანად გამელოტებულია. მის საზღვარზე თმა ადვილად ცვივა.

ასტროპროგნოზი

27 იანვრისთვის

ვერძი – დღის პირველ ნახევარში არანაირი კაპიტალდაბანდება სასურველი არ არის. ძალიან მძიმე დღეა, განსაკუთრებით – ფინანსური თვალსაზრისით. საყიდლებზე წასვლა კატეგორიულად აკრძალულია. **კურო** – გრძელვადიან გეგმებს ნუ შეიმუშავებთ. თქვენი მოქმედება და საუბარი აკონტროლეთ. წარმატებას მიაღწევთ ნებისმიერ შემთხვევაში. **ტყუპები** – ყოფითი პრობლემებით ნუ დაკავდებით. აუცილებელი არ არის, ყველაფერი დღესვე მოასწროთ. აქტიურობასა და ფიზიკურ დატვირთვას ვარსკვლავები არ გირჩევენ. **კირჩხიბი** – ნერვებს გაუფრთხილდით. ყველა საქმე მშვიდად და აუჩქარებლად აკეთეთ. გელით კონფლიქტი სამსახურში ან ნათესავებთან და მეგობრებთან. **ლომი** – პირად ცხოვრებაში ყველაფერი მთლად რიგზე ვერ გაქვთ. მნიშვნელოვანი ცვლილებების დრო დადგა. შესაძლოა, მძიმე პიროებებთან შეგუება მოგიხდეთ. ნერვებს გაუფრთხილდით. **ქალწული** – შემოსავალი და გასავალი მკაცრად აკონტროლეთ, ძალზე დაძაბული პერიოდი გეწყებათ. საქმიანი კონტაქტები წარმატებით დამთავრდება, თუმცა საამისოდ დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ. **სასწორი** – ემოციური დღეა. ბედი გწყალობთ. გამახვილებული ინტუიციის მეშვეობით სწორ გადაწყვეტილებას მიიღებთ. **ღრანცალი** – კრიტიკული დღეა, ბევრი რამ იცვლება. ნებისმიერი კომერციული აქტივობა ფინანსური კრახით დამთავრდება. **მშვილდოსანი** – ერიდეთ საეჭვო ნაცნობობას. უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები წარმატებით დაგვირგვინდება. საღამოს საკუთარ თავს პატარა დღესასწაული მოუწყვეთ. **თხის რქა** – მოულოდნელი ინფორმაცია აგაფორიაქებთ. მზად იყავით სერიოზული პრობლემების მოსაგვარებლად. ამას მხოლოდ თქვენი მჭევრმეტყველებისა და მახვილგონიერების წყალობით მოახერხებთ. **მერწყული** – გარშემომყოფების ნდობას იმსახურებთ. თავი აარიდეთ უსარგებლო საუბრებს. უფროსობასთან საკუთარი პრინციპები მტკიცედ დაიცავით. **თევზები** – იყავით მიზანდასახული და აქტიური. კარგი დღეა საყიდლებზე წასასვლელად, ბიზნესსაქმიანობისათვის. არ დაგავიწყდეთ სრულფასოვნად დასვენებაც.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ზღვისპირა ბალნეოლოგიური კურორტი ოდესის მახლობლად; 2. ესპანური კომპანია „ზარას“ დამფუძნებელი და მფლობელი; 3. რაიმეს მტკიცების საფუძველი, საბუთი; 4. პოემა „სტუმარ-მასპინძლის“ პერსონაჟი; 5. დიდი სარეკლამო პლაკატი; 7. ზღვის ტალღებისგან ნავსადგურის დამცავი გრძელი ჯებირი; 11. ხალხური თქმულება; 13. სამარკო და საკოლექციო ღვინოების საცავი; 15. პროფესიონალი ცხენოსანი; 16. ფრანგი მათემატიკოსი, მხაზველობითი გეომეტრიის ფუძემდებელი; 18. ერთწლიანი პარკოსანი მცენარე; 19. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა.

თარაზულად: 6. ქალაქი საფრანგეთში, სადაც ტარდებოდა მეფედ კურთხევის საზეიმო ცერემონიალი; 8. სისხლძარღვი; 9. ტკბილი, შავი ფერის ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი; 10. ხეობა საქართველოში; 12. ლეო დელიბის ოპერა; 14. მაღალხარისხოვანი ბროლი; 17. დედამიწის ყველაზე ცხელი ბუნებრივი ზონა; 20. ტერიტორიული ერთეული შვეიცარიაში; 21. დაკოდილი მამალი ცხვარი; 22. შტატი აშშ-ში; 23. ჟანგბადის ნაკლებობა სისხლში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. რევანში; 2. კრკა; 3. „ფიატი“; 4. „ენეიდა“; 6. ფაგოციტი; 9. მყვარი; 13. ლახვარი; 14. „კაბერნე“; 15. აწყური; 17. ვალიო; 18. კიქსი; 20. ყაჭი.

თარაზულად: 1. რეკორდი“; 5. გრაფი; 7. ჰილტონი; 8. ვაკუუმი; 10. დინგო; 11. „ტოკაი“; 12. აკვანი; 16. შამოტი; 17. ვისკი; 19. ხალი; 21. წულაძე; 22. „ვიტესი“; 23. ფინიკი; 24. სედანი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბულიმია; 2. „გრემიო“; 3. დივიდენტი; 4. ბოლერო; 5. „გორდონსი“; 7. „ანსა“; 11. დენტინი; 13. „ნესკაფე“; 15. კიოტო; 16. „პორშე“; 18. ამანი; 19. რევიუ.

თარაზულად: 6. უშქარი; 8. არახისი; 9. კალმარი; 10. მარაბდა; 12. კოლიე; 14. ბორანო; 17. დისპაშერი; 20. ხრიდოლი; 21. უტზონი; 22. ნადიმი; 23. ჰეროდოტე.

სასწავლო პროცესი 384 საჯარო სკოლაში შეწყდა

განათლების მინისტრის მოადგილე ლია გიგაურის განცხადებით, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციების საფუძველზე, სასწავლო პროცესი ქვეყნის მასშტაბით 180 სკოლაში, მათ შორის თბილისის რამდენიმე საჯარო სკოლაში, შეწყდა.

გარდა ამისა, არსებული ინფორმაციით, ჯამში რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო სასწავლო პროცესი 204 სკოლაშია შეჩერებული.

ჯერჯერობით არ არის დაზუსტებული, გაგრძელდება თუ არა სამი დღის შემდეგ სასწავლო პროცესი. გაცდენილი დღეების ანაზღაურება კი შაბათის ხარჯზე მოხდება.

ინტერპრესნიუსი

დაავადებათა კონტროლის ცენტრი სკოლებსა და საბავშვო ბაღებს მიმართავს

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, სკოლებსა და საბავშვო ბაღებს 20%-ის ზემოთ გაცდენების შემთხვევაში სწავლის შეწყვეტის რეკომენდაციით მიმართავს.

შესაბამისი განცხადება დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორმა ამირან გამყრელიძემ დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

მისივე თქმით, თუ კონკრეტულ სკოლაში ან საბავშვო ბაღებში გაცდენათა მაჩვენებელი 20%-ს სცილდება, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი სასწავლო და საალმზრდელო პროცესის მინიმუმ სამი სამუშაო დღის შეწყვეტის რეკომენდაციით გამოდის.

ამირან გამყრელიძე:

– გამომდინარე იმ სიტუაციიდან, რომ თანდათან ქვეყანაში გრიპის შემთხვევების ზომიერი მატებაა და განსაკუთრებით ეს კონცენტრირდება ბავშვთა ასაკში, მივიღეთ გადაწყვეტილება გამოვიდეთ რეკომენდაციით და მივმართოთ სასკოლო და ზოგადად სააღმზრდელო დაწესებულებებს, ბაღებს, რომ სიტუაციიდან გამომდინარე, თუ მათ სკოლაში ან ბაგა-ბაღში გაცდენების მაჩვენებელი 20%-ს სცილდება, პრევენციულად მინიმუმ სამი სამუშაო დღით შეწყდეს სწავლა და ბავშვების მიყვანა ბაგა-ბაღებში. იზოლირების გაგრძელება გადაწყდეს შემდგომი კონსულტაციებით.

ეს გახლავთ პრევენციული ღონისძიება, რათა ნაკლები იყოს კონტაქტი ინფიცირებულ ბავშვებთან.

ცენტრის დირექტორმა ხაზი გაუსვა, რომ გრიპის ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ფენა სწორედ ბავშვებია.

ინტერპრესნიუსი

ნანუაშვილი არჩილ თალაკვაძის განცხადებებს უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევად აფასებს

„საქართველოს ხმის“ დამფუძნებლის, გარდაცვლილი ბიძინა კუჭავას თაობაზე, შს მინისტრის მოადგილის არჩილ თალაკვაძის განცხადებებს სახალხო დამცველი უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევად აფასებს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ უჩა ნანუაშვილმა განუცხადა.

მისი თქმით, უდანაშაულობის პრეზუმფცია არა მხოლოდ ამ კონკრეტულ საქმეზე, არამედ უამრავ სხვა საქმეზეც ირღვევა.

– ჩემი აზრით, სახეზეა უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა და არა მხოლოდ ამ შემთხვევაში, კიდევ ძალიან ბევრ საქმეში. ასეთ შემთხვევაში არანაირი სანქცია არ არსებობს, – განაცხადა უჩა ნანუაშვილმა.

მისი თქმით, მინისტრმა ან მოადგილემ მსგავსი განცხადებები არ უნდა გააკეთოს.

გარდაცვლილი ბიძინა კუჭავას ადვოკატები მიმდინარე კვირას სასამართლოში არჩილ თალაკვაძის წინააღმდეგ სამოქალაქო სარჩელის შეტანას აპირებენ.

საუბარია თალაკვაძის მიერ გაკეთებულ სატელევიზიო განცხადებაზე, სადაც მან აღნიშნა, რომ ბიძინა კუჭავა, რომელმაც თავი მოიკლა, პროკურორ ვახტანგ ქირიას მკვლელია.

ინტერპრესნიუსი

სამგლოვიარო განცხადებები

კვარაცხელიების საგვარეულო კავშირის გამგეობა სამძიმარს უცხადებს ნუგზარ კვარაცხელიას მამის

ღურუ ანდროს ძე კვარაცხელიას

გარდაცვალების გამო.

გამოსვენება: 28 იანვარს, 14 საათზე, წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიიდან.

დავით და ავთანდილ კვარაცხელიები ოჯახებით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ღვაწლმოსილი და ამაგდარი გვარიშვილის

ღურუ ანდროს ძე კვარაცხელიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს, ნათესავებსა და ახლობლებს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

თაკო ნაცვლიშვილი პარიზის მოდის კვირეულზე გამოვიდა

17 წლის ქართველი მოდელი თაკო ნაცვლიშვილი ერთადერთი აღმოჩნდა ქართველ ლამაზმანთა შორის, რომელიც პარიზის მოდის კვირეულზე მიიწვიეს და ჩვენებებში მონაწილეობა შესთავაზეს.

თაკომ რალფ ენდ რუსოს 2016 წლის გაზაფხული/ზაფხულის კოლექციის ჩვენებაში მიიღო მონაწილეობა, რომელიც არიზონა მიუსმა გახსნა და ისაბელ ფონტანამ დახურა. პარიზში რალფ ენდ რუსოს ჩვენებას მოდის კრიტიკოსებთან, ბაერებთან და მოდის სამყაროში ცნობილ პიროვნებებთან ერთად მომღერალი რიტა ორა და მსახიობი უმა თურმანიც ესწრებოდნენ.

ქართველ მოდელს ვიქტორია სეკრეტის კასტინგისთვისაც ამზადებენ. კონკურსში მონაწილეობაში ხელს ლამაზმანს ასაკი უშლის. 18 წლისას უკვე თავისუფლად შეეძლება კასტინგში მონაწილეობა და, არ არის გამორიცხული, ანგელოზებს შორის ქართველი მოდელიც აღმოჩნდეს.

თიკა მახალდიანი გათხოვდა

მუსიკალურ პროექტ „ჯეოსტარის“ ერთ-ერთი გამორჩეული მონაწილე, მომღერალი თიკა მახალდიანი გათხოვდა. მისი რჩეული ბიზნესმენი თემო პირველაშვილია.

წყვილის ნიშნობა ზაფხულში შედგა, ქორწილი და ჯვრისწერა კი – ამ უქმეებზე. მათი მეჯვარეები უახლოესი მეგობრები იყვნენ. წყვილის გადაწყვეტილებით, საქორწილო სუფრა მცხეთაში ერთ-ერთ რესტორანში გაიშალა.

თემოსა და თიკას გაბედნიერება უამრავმა ადამიანმა მიულოცა. მათ ქორწილში ცნობილი სახეები მრავლად იყვნენ. მათ შორის, მომღერლები და იუმორისტები. წყვილის ქორწილის ფოტოები ინტერნეტში გავრცელდა, რომლებმაც უამრავი მოწონება დაიმსახურა, ახლადშეუღლებულს კი ყოველივე საუკეთესო უსურვეს.

წყვილის გაბედნიერებას სტატიები სხვადასხვა გამოცემამ მიუძღვნა. მათგან ერთ-ერთის ავტორმა აქცენტი ახლადშეუღლებულების საძინებელში გადაღებულ ფოტოზე გააკეთა, რამაც საზოგადოების არაერთგვაროვანი შეფასება გამოიწვია.

თიკა დაცინვამ და არასასიამოვნო კომენტარებმა საშინლად გაანაწყენა და ჟურნალისტის დაჭერა ინატრა:

– ამ სტატიის ავტორი მინდა, რომ დაიჭირონ! და ცენზურის გამო, სამუდამო პატიმრობა მისცენ, რომ ესეთი ამბავი ატყდა... სირცხვილია, ხალხო, გამოფიზლდით, ოეეე!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

პოლიტპატიმრები მთავრობას თავიანთ საქმეებზე გრიფის მოხსნისკენ მოუწოდებენ

ადამიანის უფლებათა ცენტრი ჯაშუშობის ბრალდებით გასამართლებულ პოლიტპატიმართა და ე.წ. ფოტორეპორტიორების საქმეზე „საიდუმლო“ გრიფის მოხსნას ითხოვს და წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლოსთვის მიმართვას აპირებს.

როგორც ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, ვახტანგ მაისაიას, ბაკურ კიღურაძისა და ე.წ. ფოტორეპორტიორების საქმიდან „საიდუმლო“ გრიფის მოხსნის მოთხოვნით არაერთხელ მიმართეს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურსა და შსს-ს მაგრამ პასუხი არ მიუღიათ.

– ადამიანის უფლებათა ცენტრი მოუწოდებს პარლამენტს და მთავრობას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მიიღოს სათანადო ზომები ჯაშუშობის ბრალდებით გასამართლებულ პირთა საქმეებზე „საიდუმლო“ გრიფის მოხსნასთან დაკავშირებით. „საიდუმლო“ გრიფის ახსნასთან დაკავშირებით პასუხის მიუღებლობის ან უარყოფითი პასუხის მიღების შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა ცენტრი აპირებს, მიმართოს სასამართლოს, – ნათქვამია ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადებაში.

საქართველოს პარლამენტის მიერ პოლიტპატიმრებად ცნობილი პირები „ამნისტიის შესახებ“ კანონის საფუძველზე, სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან 2013 წლის იანვარში გათავისუფლდნენ.

მედიანიუსი

რაჭაში მეწყერი ჩამოწვა

უკვე რამდენიმე საათია, ქუთაისი-ალტანა-ამბროლაურის მიმართულებით საავტომობილო მოძრაობა აკრძალულია. მიზეზი ჩამოწოლილი მეწყერი გახდა.

რუსთავი 2-ის ცნობით, გუმათჰესის მიმდებარე ტერიტორიაზე უკვე მობილიზებულია სპეციალური ტექნიკა და დაწყებულია გზის გაწმენდითი სამუშაოები.

ამბროლაურის მიმართულებით გადაადგილება შემოვლითი გზით ხორციელდება.

ნიუსპრესი

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

TV პროგრამა

ოთხშაბათი

27 იანვარი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00 01.00 "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 23.00** ტ/სერ. "**დაუნტონის სააბატო**" **12.30** "გურმანია" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვებრინე**" **14.05** "ხანმოკლე XX საუკუნე" **14.30** ან/ფ "მხიარული ფერმა" **15.00** დ/ფ "ყველაზე გემრიელი კერძები მსოფლიოში" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.30** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **21.00** თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" **22.00** დ/ფ "თოფგიარი" **22.55** "ეპოქის ფრაგმენტი" **00.00** "კომუნიკატორი" **01.10** მხ/ფ "**პამერა**" (ჯ.ჰეკმანი)

08.00, 10.10, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **10.30** "არგუმენტების დრო" **13.00** დ/ფ "მესამე ხანა" **14.00, 16.00** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **17.00** "პოლიტალტერნატივა" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა". **20.00** "მოამბე" (5 ენაზე) **23.00** "ნამდვილი დრო"

06.00, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.30** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ოცი წუთი**" **11.20** სერ. "**კონტრაქტის პირობები**" **10** სერ. **12.30** დღის შოუ **17.35** სერ. "**დაკარგული წლები**" **18.45, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** სტუმრად იუმორინასთან **00.30** მხ/ფ "**ბრიუგეში ჩარჩენილი**" (რ.ფაინსი) **02.40** მხ/ფ "**თავშესაფარი**" **04.30** მხ/ფ "**და აი**" **ისიც**"

06.00, 19.55 სერ. "**აღთქმა**" **07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.40** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.55** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **22.00** ნანუკას შოუ **23.30** სერ. "**სიცრუის თეორია**" **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

8.30, 18.30 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები (გამეორება) **9.00** Discovery. "ბეკონის შეერთებული შტატები" **10.00, 17.30** ან/სერ. "**პაპარი ლეგენდა აანგის შესახებ**" **11.00** მზარეულები **11.30** შუადღე **14.00** ცოლები და ქმრები **14.30, 19.00** სერ."**ახალი ბოგო**". სეზ. **4,** სერ. **4, 6. 15.00, 19.30** სერ. "**ცენტრი**" სერ **4, 6. 15.30**Discovery. "არაჩვეულებრივი ძმები კულინარები" **16.30** აირჩიე კაბა **17.00** საქორწილი გარდასახვა **20.00** ცოლები და ქმრები **20.30 20.30 22.00** მზარეულები **22.30** მხ/ფ "**ხვალინდელი დღე**" **0.45** ID Extra დანაშაულები, რომლებმაც მსოფლიო შეძრა **1.45** URBAN STORIES **2.35** ჯიდიპედია

06.10 მუს.პაუზა **06.15** დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.30** დოკ.ფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** ქრისტიანული ხელოვნება **11.15** ბავშვები მუზეუმში **11.30** დ/ფ"დიდი ანდრიას ნაკვალევზე" **12.10** ღია აუდიტორია **13.00** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "კიპარისი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ანიმაციური ფილმი **15.20** ჩვენი ფონდი "წმ. ნინო-ემბაზი ქართლისა" **16.00** მუს./ფ "წინწყარო"-ანს. რუსთავი **17.10** თვენი "წმ. მოციქულთა სწორი ნინო" **17.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**ვედრება**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.20** ივერიის ეკლესია (ღვთის სახლი) **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი "შალვა ნუცუბიძე" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დ/ფ **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ყოჩაღი ბიჭები" (ჟესტიკულაციით) **7.55** გადაცემა "საქმიანი დილა" **10.05** სერ. "**სხვისი სხეული**" **11.05** სერ. "**ქუზეი და გუნეი**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი **13.30, 14.05 , 16.05, 17.05, 1.00** სერ. "**ტატიანა**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** დოკ/ფ "პროფესია მოგზაური" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05** სერ. "**ბერძენი ქალი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45, 22.30** სერ. "**ქარის რჩეული**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

27 იანვრისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

- აშშ დოლარი — 2.4923
- ევრო — 2.6974
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5528
- 100 რუსული რუბლი — 3.1408

ამინდის პროგნოზი 27 იანვრისთვის

აღმასკომმა კობიაშვილს ცხადაძესთან მოლაპარაკება ურჩია

გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა გაიმართა. აღმასკომის გადაწყვეტილებით, საქართველოს 21 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრებს გია გეგუჩაძე გაწვრთნის.

რაც შეეხება ეროვნული ნაკრების მწვრთნელ კახა ცხადაძის საკითხს, როგორც სფფ-ს პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა აღმასკომზე განაცხადა, კახა ცხადაძე ეროვნული ნაკრების მწვრთნელი აღარ იქნება. ლევან კობიაშვილი მზად არის, ხელშეკრულების ორმხრივად შეწყვეტის მიზნით კიდევ ერთხელ გამართოს მოლაპარაკება ეროვნული ნაკრების მწვრთნელთან.

აღმასკომის რეკომენდაციით, ფეხბურთის ფედერაცია გამოთქვამს მზაობას, გაფორმდეს ურთიერთშეთანხმება, სადაც მოხდება ფედერაციისა და მწვრთნელის ინტერესების გათვალისწინება.

ლევან კობიაშვილი:

– პირადად შევხვდები კახა ცხადაძეს და იმედი მაქვს, მასაც ექნება დალაპარაკების სურვილი. ჩვენ შევხვდებით ერთმანეთს იმისთვის, რომ სამართლებრივი საკითხები მოვაგვაროთ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ – ჩვენ გვსურდა მასთან მუშაობა!

რაც შეეხება 21 წლამდე ნაკრებს: ახალგაზრდულში დაინიშნა გია გეგუჩაძე. იგი იქნება მთავარი მწვრთნელი და ასევე დანარჩენი ასაკობრივი ნაკრებების სპორტული ხელმძღვანელი. მიხარია, რომ აღმასრულებელი კომიტეტის წევრებმა გეგუჩაძის კანდიდატურას მხარი ერთხმად დაუჭირეს.

აღმასკომის პარალელურად გავრცელდა ინფორმაცია, რომ შესაძლოა ეროვნული ნაკრები გერმანელმა სპეციალისტმა ფოლკერ ფინკემ ან შოთა არველაძემ ჩაიბაროს.

ლევან კობიაშვილი:

– არც ერთ ადამიანთან ამ საკითხზე არ მისაუბრია. ვიმეორებ – ჩემი მთავარი მიზანი იყო და მინდოდა, რომ კახა ცხადაძე დარჩენილიყო ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე. თუმცა, უკვე ვიფიქრებ და განვიხილავ იმ კანდიდატურებს, ვინ შეიძლება გაწვრთნას ეროვნული ნაკრები. მარტის ბოლოს იგეგმება ამხანაგური მატჩი, შესაბამისად, ფედერაციისა და ეროვნული ნაკრების ინტერესში შედის, რომ ეს საკითხი რაც შეიძლება სწრაფად გადაწყდეს.

მოამზადა მიხეილ ყორეყოლიანმა

ნუცა ბუზალაძემ თურქულ „ვოისში“ ფურორი მოახდინა

18 წლის ქართველმა მომღერალმა ნუცა ბუზალაძემ, რომელიც არაერთი კონკურსისა თუ ფესტივალის გამარჯვებულია, თურქულ „ვოისში“ ნამდვილი ფურორი მოახდინა. ჰადისეს გუნდის ქართველმა კონკურსანტმა თავის ორ თურქ კოლეგასთან ერთად ჯენიფერ ლოპესის ერთ-ერთი ჰიტი შეასრულა და არა მარტო მწვრთნელების, არამედ დამსწრე საზოგადოების აღფრთოვანებაც შეძლო.

ენერგიულმა სიმღერამ და ნუცას ტემპერამენტმა მწვრთნელები ადგილებიდან წამოახტუნა და სცენაზე კონკურსანტებთან ერთად ააცეკვა. ჰადისემ და მურატმა კარგად იმხიარულეს, ხოლო ნუცასა და მურატის ცეკვამ ამ უკანასკნელის ფანების გაღიზიანება გამოიწვია.

სიმღერის დასრულების შემდეგ ჰადისეს გადაწყვეტილების მიღება ძალიან გაუჭირდა, მაგრამ საბოლოოდ არჩევანი ნუცაზე გააკეთა.

ნუცამ თავისი ემოციები გულშემატკივრებსაც გაუზიარა, რომლებმაც ქართველ მომღერალს წარმატება მიულოცეს და გამარჯვება უსურვეს:

– მადლობა ყველას! მიხარია რომ მოგეწონათ, ჯერ ყველაფერი წინაა! მაგრამ, აი, მურატის ფანები, მგონი, ხვალ სადმე დამხვდებიან და ყველაფერზე პასუხს მაგებინებენ...?ვაიი.... ინსტაგრამი ამიფეთქეს!

ხატია ბუნიათიშვილი კარნეგი-ჰოლში მიიწვიეს

მსოფლიოში ცნობილი ქართველი პიანისტი ხატია ბუნიათიშვილი პლანეტის წამყვან საკონცერტო დარბაზებში მართავს კონცერტებს. უმნიშვნელოვანეს დირიჟორებთან და ორკესტრებთან ერთად მუსიკოსი მსოფლიოში ცნობილი კომპოზიტორების ნაწარმოებებს ასრულებს.

ცნობილ ბრიტანულ როკჯგუფ „ქოლდფლეისთან“ ერთად ახალ ალბომზე მუშაობის პარალელურად, პიანისტის გადატვითული საკონცერტო ტურნეს გეოგრაფია საკმაოდ მრავალფეროვანია – ევროპის ქვეყნები თუ ამერიკის კონტინენტები, ხატიას ყველგან დიდი სიამოვნებით ელიან.

ყველაზე მნიშვნელოვანი უახლოესი კონცერტი ქართველ პიანისტს 30 იანვარს ნიუ იორკის კარნეგი ჰოლში აქვს დაგეგმილი, სადაც ხატია სპეციალური სტუმრის სტატუსით არის მიწვეული.

პიანისტი ორფეუსის კამერულ ორკესტრთან ერთად მოცარტის მეოცე საფორტეპიანო კონცერტს დაუკრავს, რომელსაც გამორჩეული ადგილი უკავია კომპოზიტორის შემოქმედებაში. საღამოზე რახმანინოვისა და ჰაიდნის ნაწარმოებებიც შესრულდება.

ლევან წულაძე „მოკლეს“

ინტერნეტში გავრცელდა ინფორმაცია, რომ რეჟისორი ლევან წულაძე გარდაიცვალა. ინფორმატორის ვერსიით, ლევან წულაძე გარდაცვლილი საკუთარ სახლში ნახეს და ამის მიზეზი გულის შეტევა გახდა.

ქართველი საზოგადოება უკვე მიეჩვია იმას, რომ ცნობილ ქართველებზე სისტემატურად ვრცელდება გარდაცვალების შესახებ არასწორი ინფორმაციები, ამიტომაც უმრავლესობას ამ „სიახლეზე“ არანაირი რეაგირება არ ჰქონია. თუმცა აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც ეს ამბავი დაიჯერეს და ჭოლა გულწრფელად შეეცოდათ.

როგორც მარჯანიშვილის თეატრის მსახიობმა ნინო გაჩეჩილაძემ განაცხადა, ეს ამბავი სიმართლეს არ შეეფერება:

– უსაქმურებო! ლევან წულაძე თავს ძალიან კარგად გრძნობს და ამ წუთას თავის მსახიობებთან ერთად ქეიფობს!

მას შემდეგ, რაც ლევან წულაძე „ნიჭიერის“ ჟიურიში გამოჩნდა, მისი გულშემატკივრების არმია გაორმაგდა. მას მაყურებელი ყველაზე თბილ, ბუნჩულა, ალალ და ხუმარა გურულად მიიჩნევს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოიდი ა



შვეულად: 1. სტიბიუმის საბადო რაჭაში; 2. ტურისტთა მეგზური; 3. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა; 4. მილების სისტემის მქონე დიდი კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 6. მოლაპარაკე ფრინველი; 9. გულდა კალაძის ქანდაკება ბიჭვინთაში; 13. ქლიავის ერთ-ერთი ჯიში; 14. კვერნისებრთა ოჯახის ძვირფასბეწვიანი ცხოველი; 15. დოღი გრძელ დისტანციაზე საქართველოში; 17. ბერების განცალკევებული სადგომი მონასტერში; 18. დაბალი ხის მაგიდა; 20. მდინარე კახეთში.

თარაზულად: 1. ხორვატიის დედაქალაქი; 5. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 7. ქართული ლიტერატურული ჟურნალი; 8. ძველბერძენი მოქანდაკე; 10. ძველებური კაჟიანი თოფი; 11. აქლემის ბეწვისგან მოქსოვილი ხალიჩა; 12. კოსმეტიკური საცხი; 16. თონეში გამომცხვარი პური; 17. საბერძნეთის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 19. აღმოსავლური ტკბილეული; 21. ერთ-ერთი უძველესი ქართული დამწერლობა; 22. რკინიგზის ხაზის სიგრძის საზომი ერთეული; 23. ავსტრიის ფეხბურთელთა გუნდი; 24. ფენოვანი ქანი, იპობა, სკდება თხელ-თხელ ფირფიტებად.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

იუმორი

კაცი ანკეტას ავსებს. ოჯახური მდგომარეობის გრაფაში ჩაწერს:

„გაუსაძლისი“

●●●

გლეხი ბაზარში კარაქს ყიდის. კლიენტი ეკითხება:

– რა ღირს შენი კარაქი?

– 10 ლარი.

– რა ამბავია, შე კაცო, მაგდენი ფულით გიტარას ვიყიდი!

– მერე პურზე გადაუსვამ?

●●●

ქორწილში ტიპი დათვრება, მამაოსთან მივა და ეუბნება:

– ვიცეკვოთ, მამაო.

– არ ვცეკვავ, შვილო ჩემო.

კაცი გაბრუნდა, მაგრამ მალე ისევ იგივე თხოვნით მიადგა. მღვდელმაც იგივე პასუხით გააბრუნა. ცოტა ხანში, როდესაც ისევ იგივე თხოვნით მიადგა, მამაო ეუბნება:

– შენ, შვილო ჩემო, შავი კაბა რომ მაცვია, ქვრივი ხომ არ გგონივარ?!

●●●

კაცი პოლიციაში რეკავს და მორიგეს ეუბნება:

– ალო, ძაღლი ვიპოვე მკვდარი.

– მერე, აიღე და დამარხე, აქ რას რეკავ?! – უპასუხა პოლიციელმა.

– რა ვიცი, ასეთ დროს პირველ რიგში ნათესავებს ატყობინებენ ხოლმე და...

●●●

ერთი მეზობელი მეორეს ეუბნება:

– გუშინ თქვენი სიმღერა მესმოდა, ქალბატონო.

ქალი კეკლუცად პასუხობს:

– უბრალოდ, დროს ვკლავდი.

– ნამეტანი სასიკვდილო იარაღი აგირჩევიათ, ქალბატონო...

●●●

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– გუშინ ჩემ ქმარს გამოვუცხადე: მორჩა, განქორწინებაზე განცხადება შემაქვსმეთქი და კარი გამოვიჯახუნე.

– მერე?

– ლიფტთან რომ ვიდექი, სროლის ხმა შემომესმა, ვიფიქრე, თავი ხომ არ მოიკლათქო და სახლში შევვარდი...

– ???

– შამპანური არ გაუხსნია იმ სასიკვდილეს!!!

●●●

განცხადება ავტობუსში:

„მგზავრების საყურადღებოდ!!! მზესუმზირა, წაბლი, თხილი და ბანანი კანებიანად მიირთვით.“

მოამზადა კახა ხატიაშვილმა